საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში

პატიმრების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკა საქართველოში

მომზადებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად

2019

წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.

სარჩევი

შესავალი 4

მეთოდოლოგია 6

დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ზოგადი მიმოხილვა 7

დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების ტენდენციები 9

პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზები 13

- დისციპლინური ღონისძიების გამოყენების პრაქტიკის ანალიზი 13
- დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულების სასამართლოში გასაჩივრების პრაქტიკა 23

კანონმდებლობის ნაკლოვანება და შედარებითი სამართლებრივი მიმოხილვა 25

დასკვნა 37

რეკომენდაციები 38

შესავალი

თავისუფლებაშეზღუდული და თავისუფლებააღკვეთილი პირების – ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების (შემდგომში პატიმრები) – უფლებების ჯეროვანი დაცვა გულისხმობს მათ მიმართ ყოველგვარი თვითნებობის გამორიცხვას. ამ მიზნით აუცილებელია არსებობდეს როგორც სამართლებრივი, ისე პრაქტიკული გარანტიები. თვითნებობის ერთ-ერთი შესაძლო გამოხატულებაა პატიმრების დასჯა ან მათ მიმართ სხვაგვარი უკანონო ზემოქმედება, რომელიც კანონისმიერი საფუძვლებიდან არ გამომდინარეობს. პენიტენციურ დაწესებულებაში მცირე მნიშვნელობის დარღვევისთვის პატიმრის დასჯა უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ და მხოლოდ ნათლად დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, შეფარდებული სანქცია კი უნდა იყოს პროპორციული.

მეორე მხრივ, პენიტენციური დაწესებულების ხელმძღვანელობა, წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, აღჭურვილი უნდა იყოს საკმარისი ბერკეტებით. მათ მიერ თავიანთი ფუნქციების შესრულება მაქსიმალურად დეტალურად უნდა იყოს რეგულირებული. ზედმიწევნით ზუსტი რეგულაციები, და მათი ცოდნა პატიმრების მიერ, მათ ზუსტ წარმოდგენას შეუქმნის იმ შედეგების შესახებ, თუ რა შეიძლება მოჰყვეს მათ ქცევას. შესაბამისად, პატიმრებთან ურთიერთობაში უკმაყოფილება, აგრესია, უწესრიგობის საფრთხე და პატიმრების უფლებების დარღვევის რისკი მაქსიმალურად შემცირდება.

სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის შედეგად წლების განმავლობაში[1] იკვეთება პრობლემები პატიმრების მიმართ დისციპლინური სანქციების თვითნებურ დაკისრებასთან დაკავშირებით. გამოვლინდა ხარვეზები კანონმდებლობაშიც, რამდენადაც კანონი ზუსტად არ აკონკრეტებს გადაცდომათა კატეგორიებს ან თავად გადაცდომის შემადგენლობებს, განხილვის პროცედურები არ აკმაყოფილებს სამართლიანი განხილვის სტანდარტებს[2], რადგან არ ითვალისწინებს ამ უფლებით სარგებლობისთვის საჭირო ძირითად კომპონენტებს. აღსანიშნავია, რომ დისციპლინური სახდელების დაკისრების პრაქტიკაზე რეგიონული მონიტორინგის ფარგლებში წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის ჯერ კიდევ 2014 წლის ვიზიტის შედეგად მომზადებულ ანგარიშში მიეთითა[3]. კანონმდებლობის ბუნდოვანებასთან ერთად, მასში ყურადღება გამახვილდა სანქციების სიმკაცრესა და დაკისრების მაღალ რიცხვზე[4]. აღსანიშნავია, რომ სწორედ აღნიშნული

---

[1] იხ. 2018 წლის საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 42-44; 2017 წლის საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 46; 51. 2016 წლის საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, გვ. 22–23; 2015 წლის საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, გვ. 21–22.

[2] ევროპული ციხის წესები მოითხოვს, რომ ციხის ადმინისტრაციამ დაიცვას სამართლიანი სასამართლოს მინიმალური სტანდარტები, მუხ. 59.

[3] წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის 2015 წელს გამოცემული, 2014 წლის საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიში, პარ. 119-124. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე < https://rm.coe.int/16806961f8 > [ბოლოს ნანახია 07.06.2019]

[4] იქვე. პარ 120.

პრაქტიკა იქნა მიჩნეული პატიმრებსა და პენიტენციურ დაწესებულებათა ადმინისტრაციას შორის დაძაბული ურთიერთობის ერთ–ერთ განმაპირობებელ გარემოებად.[5]

წინამდებარე ანგარიშის მომზადების პროცესში გამოქვეყნდა წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის 2018 წლის ვიზიტის ანგარიში.[6] კომიტეტმა ყურადღება გაამახვილა 2014 წელს გაცემულ რეკომენდაციაზე, რომელიც შეეხება პატიმრებისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრების სახით გარე სამყაროსთან კონტაქტის - ხანგრძლივი პაემანი, ხანმოკლე პაემანი, სატელეფონო საუბარი, წერილის გაგზავნა, მათ შორის, ტელევიზორთან და რადიოსთან წვდომის უფლების - შეზღუდვის არაპროპორციულობას. წამების საწინააღმდეგო ევროპულმა კომიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო დეესკალაციის ოთახებში პატიმრების მოთავსების პრაქტიკას და განმარტა, რომ დეესკალაციის ოთახებში პატიმრების ხშირი მოთავსება ატარებს de facto დასჯის ხასიათს. მან სახელმწიფოს მოუწოდა დეესკალაციის ოთახებში პატიმრების მოთავსება იყოს მაქსიმალურად ხანმოკლე და ლეგიტიმურ საჭიროებაზე მორგებული.[7]

ნიშანდობლივია, რომ სახალხო დამცველი, წლებია საუბრობს დეესკალაციის ოთახების გამოყენების პრაქტიკის პრობლემურობაზეც.[8] თუმცა წინამდებარე ანგარიშში ამ საკითხზე არ ვიმსჯელებთ, რამდენადაც დეესკალაციის ოთახში პატიმრის მოთავსება არ წარმოადგენს სამართლებრივად პატიმრის დისციპლინური დასჯის სახეს. ამ დოკუმენტის მიზანი კი სწორედ დისციპლინური პროცედურების გაანალიზებაა.

აღსანიშნავია, რომ 2018 წელს არასამთავრობო ორგანიზაციამ, „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისთვის“, გამოაქვეყნა სამაგიდე კვლევა[9], რომელშიც გამოვლენილია მთელი რიგი საკანონმდებლო და მათგან მომდინარე პრაქტიკული ხარვეზები. კერძოდ, კვლევაში საუბარია არათანმიმდევრულ მიდგომაზე, დაწესებულების ადმინისტრაციის ფართე დისკრეციაზე, სტატისტიკური მონაცემების არასრულყოფილად დამუშავებაზე, დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ ინფორმაციის არასრულყოფილ დოკუმენტირებაზე და სხვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველი დაინტერესდა პატიმრების მიმართ უშუალოდ დისციპლინური წარმოების პრაქტიკისა და სამართლებრივი რეგულირების უფრო დეტალური ანალიზით და მოამზადა წინამდებარე

---

[5] წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის 2015 წელს გამოცემული, 2014 წლის საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიში, გვ. 63–64. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე < https://rm.coe.int/16806961f8 > [ბოლოს ნანახია 07.06.2019]

[6] ხელმისაწვდომია ვებგვერდზე < https://rm.coe.int/1680945eca >[ბოლოს ნანახია 07.06.2019]

[7] წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის 2019 წელს გამოცემული, 2018 წლის საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიში, პარ. 101, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე < https://rm.coe.int/1680945eca > [ბოლოს ნანახია 07.06.2019]

[8] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 43.

[9] ანგარიში ხელმისაწვდომია ვებგვერდზე < https://bit.ly/2KyyEA7 > [ბოლოს ნანახია 07.06.2019]

სპეციალური ანგარიში, სადაც წარმოჩენილია როგორც პრაქტიკაში, ისე კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები, ასევე, შესაბამისი რეკომენდაციები მათ გამოსასწორებლად.

მეთოდოლოგია

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტიდან გამოითხოვა ინფორმაცია და დოკუმენტაცია პატიმრების მიმართ, საქართველოს მასშტაბით ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში - 2018 წლის 20 იანვრიდან 30 იანვრის ჩათვლით, 1 აპრილიდან 10 აპრილის ჩათვლით, და 17 ივლისიდან 27 ივლისის ჩათვლით პერიოდში (შემდგომში „საანგარიშო პერიოდი“) - დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების თაობაზე. პენიტენციური დეპარტამენტიდან სახალხო დამცველის აპარატს მიეწოდა ინფორმაცია სტატისტიკური მონაცემების შესახებ და წარედგინა დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ 307 განკარგულება.[10]

ხსენებული განკარგულებების შესწავლის შედეგად აპარატმა გამოავლინა ის ადგილები, სადაც პატიმრის მიერ სავარაუდოდ ჩადენილი იყო დისციპლინური გადაცდომა. იმის გასარკვევად, იყო თუ არა შესაბამისი ადგილები ვიდეოკონტროლის დაფარვის ზონაში, სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა და მიიღო ინფორმაცია ვიდეოკამერების განთავსების შესახებ[11]. აღნიშნული ინფორმაციით გაანალიზდა მტკიცებულების სახით ვიდეოჩანაწერის გამოყენების შესაძლებლობისა და მისი რეალური გამოყენების მაჩვენებელი დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან დისციპლინური გადაცდომის დადგენის პროცესში.

სახალხო დამცველის აპარატი ასევე დაინტერესდა, რამდენად ხშირად არის ბაჟის გადახდის ვალდებულება პატიმრებისთვის დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულების სასამართლოში გასაჩივრების შემაფერხებელი წინაპირობა, ვინაიდან სახალხო დამცველის რწმუნებულებთან შეხვედრისას, პატიმრები ხშირად მიუთითებენ ამ პრობლემაზე.

ამ მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, რუსთავის საქალაქო სასამართლოს, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, ბათუმის საქალაქო სასამართლოს და მცხეთის რაიონულ სასამართლოს. სწორედ ამ ხუთ სასამართლოში შეუძლიათ მთელი საქართველოს მასშტაბით პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ პატიმრებს, ტერიტორიული ქვემდებარეობის გათვალისწინებით, გაასაჩივრონ მათ მიმართ გამოყენებული დისციპლინური სახდელები.

---

[10] პენიტენციური დეპარტამენტის 2018 წლის 12 ოქტომბრის № MOC 5 18 00935736 წერილი.

[11] სახალხო დამცველის აპარატის მიერ 2018 წლის 26 ნოემბერს გაგზავნილი № 15-8/14733 წერილი და 2018 წლის 5 დეკემბრის პენიტენციური სამსახურის MOC 0 18 01075186 პასუხი.

სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა და მიიღო[12] 2018 წლის 1 მაისიდან ოქტომბრის ჩათვლით არსებული მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენი დისციპლინური ღონისძიება იყო გასაჩივრებული კონკრეტულ სასამართლოში და აქედან რამდენი საჩივარი დახარვეზდა/დაუშვებლად იქნა ცნობილი ბაჟის გადაუხდელობის გამო. სასამართლოებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზს ასევე წარმოგიდგენთ წინამდებარე ანგარიშში.

სახალხო დამცველის აპარატმა გააანალიზა ეროვნული კანონმდებლობაც და საერთაშორისო პრინციპებთან, სხვა ქვეყნების საუკეთესო გამოცდილებასთან მიმართებით, შესაბამისი ხარვეზები გამოავლინა.

კანონმდებლობის ზოგადი მიმოხილვის, პრაქტიკაში არსებული ტენდენციების, პრაქტიკული და საკანონმდებლო პრობლემების წარმოჩენის შედეგად, სახალხო დამცველი წინამდებარე სპეციალურ ანგარიშში წარმოგიდგენთ კონკრეტულ რეკომენდაციებს, რომელთა შესრულებაც პატიმრების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკას ადამიანის უფლებების პრინციპებს შეუსაბამებს.

დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ზოგადი მიმოხილვა

პატიმრების მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომების სახეებს, სანქციებსა და სამართალწარმოების პროცესს პატიმრობის კოდექსი არეგულირებს. კოდექსის გარდა უფრო დეტალურ პროცედურებს განსაზღვრავს თითოეული პენიტენციური დაწესებულების დებულება. თავის მხრივ, დებულებებში გაწერილი პროცედურები იდენტურია. გარკვეულ განსხვავებას შეიცავს დებულებები პატიმრების რისკებისა თუ დაწესებულების ტიპების მიხედვით, რაც ძირითადად სახდელის გამოყენების ხანგრძლივობას უკავშირდება.[13]

---

[12] ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 27 ნოემბრის №954 გ/კ წერილი, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 26 ნოემბრის №2729628 წერილი, მცხეთის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 26 ნოემბრის №121 წერილი, რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 22 ნოემბრის №704/გ წერილი და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 22 ნოემბრის №13715-3 წერილი.

[13] შედარებისთვის შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 15 ივლისის №71 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №16 პენიტენციური დაწესებულების დებულების 77[1] მუხლი, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №110 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №17 პენიტენციური დაწესებულების დებულების 76-ე მუხლი და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №108 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №6 პენიტენციური დაწესებულების დებულების 79-ე მუხლი. აღნიშნული მუხლები ადგენენ სახდელების სახეებს და განსაზღვრავენ სახდელების გამოყენების ხანგრძლივობის ლიმიტს, რომლის მიხედვითაც, მაშინ როდესაც ნახევრად ღია და დახურულ, ასევე, პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში გარკვეული უფლებების შეზღუდვა შესაძლებელია 6 თვემდე ვადით (მაგ. მუშაობის უფლება, ამანათისა და გზავნილების მიღების უფლება), დაბალი რისკის დაწესებულებაში აღნიშნული ვადა 1 თვითაა შეზღუდული.

კოდექსი[14] განსაზღვრავს იმ ქმედებებს, რომლებიც დისციპლინურ დარღვევად მიიჩნევა და იქვე ადგენს კუმულატიურ პირობებს, რომლის მიხედვითაც, პატიმრის ქმედება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს დისციპლინურ დარღვევად, თუ ქმედება არღვევს დაწესებულების დებულებას, ზიანს აყენებს წესრიგსა და უსაფრთხოებას და დანაშაულის ნიშნებს არ შეიცავს.

დისციპლინური დარღვევისთვის პატიმარს ინდივიდუალურად[15] განესაზღვრება პროპორციული[16] სახდელი[17], მას შემდეგ, რაც დადასტურდება პატიმრის მიერ დისციპლინური დარღვევის ჩადენის ფაქტი[18].

კოდექსი ადგენს დისციპლინური დარღვევის ჩადენაში მხილებული ბრალდებულის/მსჯავრდებულის უფლებრივ გარანტიებს[19], რომლის მიხედვითაც პატიმარს უფლება აქვს იცოდეს დარღვევის არსისა და საფუძვლის შესახებ, ჰქონდეს საკმარისი დრო და საშუალება დაცვის მოსამზადებლად, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში ისარგებლოს იურიდიული დახმარებით, მოითხოვოს მოწმეთა დაკითხვა და ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით.

დისციპლინური დარღვევის საქმეს პენიტენციური დაწესებულების დირექტორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი განიხილავს. საქმის განხილვა შეიძლება ჩატარდეს ზეპირი მოსმენით ან ზეპირი მოსმენის გარეშე.[20] პატიმრობის კოდექსი განსაზღვრავს დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულების გამოცემის, მისი პატიმრისთვის გადაცემის, აღსრულების,[21] ასევე, განკარგულების გასაჩივრების[22] პროცედურებს.

კანონმდებლობის დონეზე ისიც ცალსახადაა გაწერილი, რომ დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულება უნდა იყოს **კანონიერი, დასაბუთებული, სამართლიანი და იგი უნდა ემსახურებოდეს კანონიერ მიზანს. დაკისრებული დისციპლინური სახდელი კი, უნდა შეესაბამებოდეს ჩადენილი დარღვევის სიმძიმესა და ხასიათს.**[23]

პენიტენციური დაწესებულების დებულებები უფრო დეტალურად განსაზღვრავენ თავად დისციპლინური სამართალწარმოების პროცესს, ადგენენ დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან დისციპლინური დარღვევის აღმოჩენისას მტკიცებულებების შეგროვების მიზნით ფოტო, ვიდეო და აუდიო მასალა/ტექნიკის გამოყენების უფლებამოსილებას.[24] დებულებები

---

[14] პატიმრობის კოდექსი, მუხ. 80.
[15] იქვე. მუხ. 81, ნაწ. 3.
[16] იქვე. მუხ. 81, ნაწ. 1.
[17] სახდელების სახეები განსზღვრულია პატიმრობის კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილით.
[18] პატიმრობის კოდექსი, მუხ. 81, ნაწ. 2.
[19] იქვე. მუხ. 83.
[20] იქვე. მუხ. 84.
[21] იქვე. მუხ. 85.
[22] იქვე. მუხ. 86.
[23] იქვე. მუხ. 85, ნაწ. 5.
[24] მაგალითად, იხ. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №117 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №8 პენიტენციური

ასევე იცნობს ნივთიერი მტკიცებულებების ამოღებისა და დალუქვის წესს.[25] იმავე ბრძანებებით დამტკიცებულია დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში გასაფორმებელი დოკუმენტების - ოქმებისა და განკარგულების ფორმები (ბრძანებების დანართები).

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს პატიმრობის კოდექსის[26] მიხედვით გამოყენებული დისციპლინური სახდელი არ უნდა იყოს ბრალდებულის/მსჯავრდებულის დამამცირებელი და მისი პატივისა და ღირსების შემლახველი. აღნიშნული ჩანაწერი საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება, თუმცა ზოგადი პრინციპების პრაქტიკაში აღსრულება მოითხოვს, ერთი მხრივ, გამართულ კანონმდებლობას, მეორე მხრივ კი, რეგულაციების ზედმიწევნით პრაქტიკულ აღსრულებას.

დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების ტენდენციები

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, როგორც უკვე აღინიშნა, სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტიდან, გამოითხოვა და მიიღო ჯამში 307 განკარგულება. აქედან 2018 წლის 20 იანვრიდან 30 იანვრის პერიოდში გამოყენებული იყო - 120 დისციპლინური სახდელი, 2018 წლის 1 აპრილიდან 10 აპრილის ჩათვლით - 82, ხოლო 2018 წლის 17 ივლისიდან 27 ივლისის ჩათვლით - 105 დისციპლინური სახდელი.

ყველაზე ხშირად გამოყენებული სახდელი იყო „საყვედური“ – 134 შემთხვევა, სიხშირით მეორე ადგილზე იყო „ტელეფონზე საუბრის აკრძალვა“ – 72 შემთხვევა, „გაფრთხილება“ – 33-ჯერ იყო გამოყენებული, სამარტოო საკანში პატიმარი 31-ჯერ მოთავსდა, ხანმოკლე პაემანი აეკრძალათ – 23-ჯერ, ამანათის მიღების უფლება შეიზღუდა – 8-ჯერ, საკნის ტიპის საცხოვრებელ საკანში პატიმარი გადაიყვანეს – 3-ჯერ, პირადი კორესპონდენციისა და მაღაზიით სარგებლობის უფლება შეიზღუდა თითო შემთხვევაში. 1 შემთხვევაში საერთოდ არ ყოფილა მითითებული, თუ რა სახდელი დააკისრეს პატიმარს (იხ. დიაგრამა №1).

დაწესებულების დებულების მე-80 მუხლის მე-3 პუნქტი. აგრეთვე, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №108 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №6 პენიტენციური დაწესებულების დებულების 78-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

[25] მაგალითად, იხ. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №117 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №8 პენიტენციური დაწესებულების დებულების მე-80 მუხლის მე-4 პუნქტი. აგრეთვე, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №108 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №6 პენიტენციური დაწესებულების დებულების 78-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

[26] პატიმრობის კოდექსი, მუხ. 87. ნაწ. 2.

დიაგრამა №1.



აღსანიშნავია, რომ ამ დროისთვის, ისევე როგორც საანგარიშო პერიოდში, ქვეყნის მასშტაბით სულ 15 დაწესებულება ფუნქციონირებს/ფუნქციონირებდა. მითითებულ პერიოდებში პატიმრების მიმართ გამოყენებული დისციპლინური ღონისძიებების სტატისტიკა კი ასე გამოიყურება:

დაწესებულება	გამოყენებული დისციპლინური ღონისძიება
№2	46
№3	66
№5	5
№6	25
№7	0
№8	154
№9	0
№11	0
№12	0
№14	2
№15	5
№16	0
№17	2
№18	2
№19	0

როგორც სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს (იხ. დიაგრამა №2), თხუთმეტიდან ექვს პენიტენციურ დაწესებულებაში - №7, №9, №11, №12, №16 და №19 - საერთოდ არ ყოფილა საანგარიშო პერიოდში დისციპლინური სახდელი გამოყენებული. რანდენიმე ერთეული შემთხვევა გამოვლინდა 5 პენიტენციურ დაწესებულებაში - №5, №14, №15, №17 და №18 დაწესებულებებში. ყველაზე მრავლად დისციპლინური ღონისძიებები გამოყენებული იყო №2, №3, №6 და №8 დაწესებულებებში. ჯამში ამ ოთხ დაწესებულებაში 32-დღიანი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ციხის ადმინისტრაციამ 291 დისციპლინური ღონისძიება გამოიყენა.

დიაგრამა №2.



წარმოდგენილი სტატისტიკით, საანგარიშო პერიოდთან მიმართებით, რამდენიმე ტენდენცია იკვეთება:

- **სამკურნალო დაწესებულებებში ან საერთოდ არ არის გამოყენებული დისციპლინური ზომები (№19) ან იშვიათად გამოიყენება (№18)**
- **დისციპლინური სახდელების გამოყენების შემთხვევები არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში არ გამოვლენილა (№11)**
- **ქალთა მიმართ სულ 5-ჯერ იქნა გამოყენებული დისციპლინური სახდელი (№5)**
- **დაბალი რისკისა და სასჯელისგან გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრების მიმართ დისციპლინური სახდელი არ გამოუყენებიათ (№16)**
- **პატიმრობისა და დახურული ტიპის დაწესებულებაში, რომელშიც დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, მოთავსებული არიან ყოფილი თანამდებობის პირები ან/და ძალოვანი სტრუქტურის თანამშრომლები, დისციპლინური სახდელი გამოყენებული არ ყოფილა (№9)**
- **ნახევრად ღია და დახურული ტიპის დაწესებულებებში დისციპლინური ღონისძიებები არ გამოიყენება ან იშვიათად გამოიყენება (№12, №14, №15, №17) ეს ციხეები პატიმრების რაოდენობის სიდიდის მიხედვით ყველაზე დიდი დაწესებულებების ხუთეულში შედიან,[27] მიუხედავად ამისა, ამ სამ დაწესებულებაში ჯამში, 32 დღის განმავლობაში, გამოყენებული იყო 9 დისციპლინური ღონისძიება. საინტერესოა, რა ფაქტორები**

[27] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №106 ბრძანება „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების შესახებ“ დამტკიცებულია დაწესებულებების ლიმიტები, რომლის მიხედვითაც №14 დაწესებულება გათვლილია 1 362 პატიმარზე, №15 დაწესებულება - 1 388, ხოლო №17 – 2 000 პატიმარზე.

მოქმედებენ პატიმრების ქცევაზე, არის თუ არა ეს თავად ციხის რეჟიმის/ტიპის შედარებითი სიმსუბუქის დამსახურება თუ შეიძლება აქ ციხის სუბკულტურის გავლენებთან პარალელების გავლება[28]

- **ხშირია დისციპლინური სახდელების გამოყენების შემთხვევები პატიმრობისა და დახურული ტიპის, მომეტებული რისკის დაწესებულებებში (№2 და №8). ნიშანდობლივია, რომ ბრალდებულ პირებს, დაპატიმრებისთანავე, ძირითადად სწორედ ამ დაწესებულებებში ათავსებენ, შესაბამისად, ე.წ. „მიმღებ დაწესებულებებად" შეიძლება განვიხილოთ. ამ დაწესებულებებში შედარებით ხშირია პატიმრების მოძრაობა/ეტაპირება**
- **ხშირია დისციპლინური სახდელების გამოყენების შემთხვევები პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში (№3 და №6)**
- **არცერთი დისციპლინური ღონისძიება არ ყოფილა გამოყენებული იმ დაწესებულებაში, რომელშიც მოთავსებულები არიან ყველაზე მაღალი რისკის - განსაკუთრებული რისკის მსჯავრდებულები, თუმცა თავად დაწესებულება ყველაზე მცირერიცხოვანია**[29] **მთელ საქართველოში (№7).**

პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზები

დისციპლინური ღონისძიების გამოყენების პრაქტიკის ანალიზი

დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ გამოთხოვილი 307 განკარგულების შესწავლის შედეგად, დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკის არაერთი ხარვეზი გამოვლინდა, კერძოდ:

- პატიმრის მიერ დისციპლინური გადაცდომის ფაქტს მხოლოდ დაწესებულების თანამშრომლები ადასტურებენ
- დაწესებულების დირექტორები პატიმრის დასჯის პროცესში არ ეყრდნობიან ნეიტრალურ მტკიცებულებებს
- არ ჩანს ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების მცდელობა
- განკარგულებებში მხოლოდ ფორმალურად და შაბლონურად მიეთითება კონკრეტულ დისციპლინურ გადაცდომაზე, არ არის წარმოდგენილი დეტალური ინფორმაცია იმ ფაქტის შესახებ, რომელიც პატიმრის მხრიდან გადაცდომად ჩაითვალა

---

[28] იხილეთ ასევე, წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის 2019 წელს გამოცემული, 2018 წლის საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიში, პარ 99, სქოლიო 164 ხელმისაწვდომია ვებგვერდზე < https://rm.coe.int/1680945eca > [ბოლოს ნანახია 07.06.2019]

[29] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №106 ბრძანება „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების შესახებ" დამტკიცებულია დაწესებულებების ლიმიტები, რომლის მიხედვითაც №7 დაწესებულება გათვლილია 29 პატიმარზე.

- არცერთ განკარგულებაში არ ჩანს, თუ რამ გამოიწვია პატიმრის მხრიდან დისციპლინური გადაცდომა, არ არის დადგენილი მიზეზშედეგობრივი კავშირი გადაცდომამდე არსებულ ვითარებასა და პატიმრის მხრიდან ჩადენილ კონკრეტულ გადაცდომას შორის
- განკარგულებები არ შეიცავს დასაბუთებას კონკრეტული სანქციის გამოყენების პროპორციულობის შესახებ
- განკარგულებები არ შეიცავს დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების შესახებ ინფორმაციას
- ერთი სახის დისციპლინური დარღვევის დროს პატიმართა მიმართ განსხვავებული სანქციები გამოიყენება. ნათელი არ არის არაერთგვაროვანი მიდგომის საფუძველი
- არცერთ საქმეზე არ ჩატარებულა ზეპირი მოსმენა და შესაბამისად, პატიმარს არ მისცემია საკუთარი ინტერესების საკითხის განმხილველი პირის წინაშე დაცვის შესაძლებლობა
- საქმეთა დიდ უმრავლესობაში არ მოიპოვება პატიმრის წერილობითი ახსნა-განმარტება/პოზიციის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი
- არცერთ საქმეში არ ჩანს პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა რელევანტური ინდივიდუალური მახასიათებლების ამსახველი ინფორმაცია
- არცერთ საქმეში არ ყოფილა ჩართული ადვოკატი
- არცერთ საქმეში არ ჩანს, რომ პატიმარს ეცნობა დისციპლინური ბრალდების შესახებ ინფორმაცია
- არცერთ საქმეში არ ჩანს, რომ პატიმარს მიეცა გონივრული დრო ან/და საშუალება, წარმოედგინა მისი პოზიციის დამადასტურებელი მტკიცებულებები
- არცერთი განკარგულება პატიმარს არ ჩაბარებია.

თითოეულ ამ გარემოებას ცალ-ცალკე განვიხილავთ:

პატიმრის მიერ დისციპლინური გადაცდომის ფაქტს მხოლოდ დაწესებულების თანამშრომლები ადასტურებენ

განკარგულებებში მითითებულ მტკიცებულებათა შეფასებით, შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ დაწესებულების თანამშრომლები მტკიცებულებებს პრაქტიკულად არ მოიპოვებენ .

ინფორმაციის ერთადერთი წყაროა სამართლებრივი რეჟიმის ოფიცერი. იგივე ოფიცერი იმავდროულად გვევლინება დარღვევის ფაქტის დამადასტურებელ მოწმედ სამართალწარმოების ეტაპზე.

შესწავლილ საქმეთაგან მხოლოდ 7 შემთხვევაშია მითითებული, რომ მოწმის სახით გამოიკითხა კონკრეტული პირი, თუმცა, შეუძლებელია იმის გარკვევა, ეს მოწმე ისევ სამართლებრივი რეჟიმის ოფიცერია თუ სხვა პირი.

დაწესებულების დირექტორები პატიმრის დასჯის პროცესში არ ეყრდნობიან ნეიტრალურ მტკიცებულებებს

<u>ვიდეოჩანაწერები</u>

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მასალების დამუშავების შედეგად შეაფასა პოტენციური გარემოებები, სადაც პენიტენციური დაწესებულების მხრიდან ქმედების ობიექტურად შეფსაფასებლად, დამატებით ნეიტრალური მტკიცებულებების[30] - ვიდეოჩანაწერის მოპოვება თავისუფლად იყო შესაძლებელი. კერძოდ, სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა ინფორმაცია ვიდეოკამერების განთავსების შესახებ დაწესებულებათა იმ მონაკვეთების მიხედვით, სადაც განკარგულებების მიხედვით ჩადენილი იყო გადაცდომა.

მიღებული ინფორმაციის შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ გადაცდომათა ჩადენის ადგილი ვიდეოკამერებით 41 შემთხვევაში ფიქსირდებოდა. მიუხედავად ამისა, ვიდეოჩანაწერი მტკიცების წყაროდ, რომლითაც გადაცდომის ფაქტი ან დადასტურდებოდა, ან გაბათილდებოდა, არცერთ შემთხვევაში არ გამოუყენებიათ.

მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში[31] პატიმარი იმის გამო დაისაჯა, რომ მან საკანში ტელევიზორი გატეხა. პენიტენციური სამსახურიდან გვეცნობა[32], რომ პატიმრის მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დისციპლინური დარღვევის დროს საკანში ვიდეოსამეთვალყურეო კამერა იყო დამონტაჟებული. მიუხედავად ამისა, ვიდეოჩანაწერები მოპოვებული არ არის.

მეორე შემთხვევაში[33], მითითებულია, რომ პატიმარმა უარი განაცხადა საკნიდან გამოსვლაზე, რისთვისაც მის მიმართ გამოიყენეს დისციპლინური ღონისძიება. ამ შემთხვევაშიც, საკანში დამონტაჟებული იყო ვიდეოკამერა, თუმცა, ჩანაწერები არ ამოუღიათ.

მესამე შემთხვევაში[34], პატიმრის დისციპლინური გადაცდომა გამოიხატა საკნის კარზე ბრახუნით გამოწვეულ ხმაურში. ვიდეოკამერა ამჯერადაც დამონტაჟებული იყო საკანში, თუმცა ჩანაწერი არ მოუძიებიათ.

<u>ნივთიერი მტკიცებულებები</u>

გარდა ვიდეოჩანაწერებისა, პრობლემაა ნივთიერი მტკიცებულებების შესწავლაც, რამდენადაც არც აღნიშნული წყაროდან მოწმდება გადაცდომის ფაქტის არსებობა. კერძოდ, შესწავლილი განკარგულებებიდან 14 შემთხვევაში იყო შესაძლებელი, მაგრამ არცერთ შემთხვევაში არ არის წარმოდგენილი რელევანტური ნივთიერი მტკიცებულებები:

---

[30] ნეიტრალურია ისეთი მტკიცებულება, რომელიც გამორიცხავს მიკერძოების ან სუბიექტურობის ყოველგვარ ელემენტს და ობიექტურად ადასტურებს ან უარყოფს ფაქტის არსებობას.

[31] №8 პენიტენციური დაწესებულება, განკარგულება №305326.

[32] 2018 წლის 5 დეკემბრის № MOC 0 18 01075186 წერილი.

[33] №3 პენიტენციური დაწესებულება, განკარგულება №654565.

[34] №2 პენიტენციური დაწესებულება, განკარგულება № 118 00054262.

დაზიანებული ინვენტარი ან ნივთები (რადიო, მაისური და ა.შ.), ან ამ ნივთების ამსახველი ფოტომასალა და შესაბამისი ოქმები.

მაგალითად, ერთ-ერთი განკარგულება შეეხება სარკმლის გატეხვის გამო დისციპლინური სანქციის დაკისრებას, თუმცა დაზიანებული სარკმლის ფოტომასალა ან მისი დათვალიერებისა და აღწერის ოქმი არ არის წარმოდგენილი.[35] ერთ-ერთ საქმეში, პატიმარს დისციპლინური სახდელი იმის გამო დაეკისრა, რომ მან კონტროლიორს მაისური დაუხია.[36] დახეული მაისური არ დაულუქავთ და მტკიცებულების სახით საქმეში არ ჩაუდიათ.

<u>მოწმეთა გამოკითხვები</u>

ვიდეოჩანაწერების ან ნივთიერი მტკიცებულებების არარსებობის გარდა, პრობლემაა მოწმეთა გამოკითხვაც. შესწავლილ განკარგულებათა 49 შემთხვევაში, ირკვევა, რომ პენიტენციური დეპარტამენტის სამართლებრივი რეჟიმის ოფიცრის გარდა, პატიმრის ქმედებას შეესწრო სხვა თანამშრომელი, მაგალითად, სოციალური მუშაკი, ასევე ბრალდებული/მსჯავრდებული, რაც ობიექტურად იძლევა აღნიშნული პირების გამოკითხვის შესაძლებლობას, თუმცა დამატებით მოწმის ახსნა-განმარტება არცერთ საქმეში არ არის წარმოდგენილი.

არ ჩანს ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების მცდელობა

არცერთი საქმიდან არ ჩანს, რომ ადმინისტრაციას პატიმრის მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტის დამადასტურებელი ნეიტრალური მტკიცებულების სულ მცირე მოპოვების მცდელობა ჰქონოდა. საქმეში ნეიტრალური მტკიცებულების არარსებობა ახსნილი არ არის რაიმე ობიექტური გარემოებით, რასაც შეეძლო გაექარწყლებინა ეჭვები პატიმრის მიმართ დისციპლინური სახდელის უკანონო გამოყენებაზე.

მაგალითად, არცერთ საქმეში არ ჩანს, რომ ციხის დირექტორმა ან მის მიერ უფლებამოსილმა პირმა პენიტენციურ დეპარტამენტს რელევანტური ვიდეოჩანაწერების დაარქივების მოთხოვნით მიმართა; არცერთ საქმეში არ ჩანს, რომ ვიდეოჩანაწერების მოპოვება შეუძლებელი გახდა რაიმე ობიექტური მიზეზით, თუნდაც, ტექნიკური ხარვეზის გამო; არცერთ საქმეში არ ჩანს, რომ დაწესებულებამ სცადა ნივთმტკიცებების ამოღება და რაიმე მიზეზით ეს შეუძლებელი გახდა და სხვ.

განკარგულებებში მხოლოდ ფორმალურად და შაბლონურად მიეთითება კონკრეტულ დისციპლინურ გადაცდომაზე

განკარგულებებში, ძირითადად, ზოგადი მითითება გვხვდება დისციპლინური გადაცდომის სახეზე და ისინი არ შეიცავს ფაქტის ობიექტური გამოხატულების ამსახველ ინფორმაციას.

---

[35] №2 პენიტენციური დაწესებულება, განკარგულება №11800667451.

[36] №3 პენიტენციური დაწესებულება, განკარგულება №310582.

მაგალითად, პენიტენციური დაწესებულების მიერ პატიმართა მიმართ გამოყენებული დისციპლინური სანქციის დაკისრების შესახებ განკარგულებათა 60 შემთხვევაში, რაც საერთო რაოდენობის დაახლოებით 20% წარმოადგენს, ქმედების შემადგენლობა აღწერილია მხოლოდ ორი სიტყვით – „ხმაური საკანში“.

მიუხედავად იმისა, რომ ფორმალური მიდგომით ხმაური ნამდვილად შეიძლება იყოს წესრიგის დარღვევა, და შესაბამისად, გადაცდომა, შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ რაში გამოიხატა ხმაური. ასევე, არ არის ახსნილი ის მიზეზშედეგობრივი კავშირი, თუ რაში გამოიხატა ხმაურის შედეგად დაწესებულების ნორმალური ფუქნციონირების ხელშეშლა.[37] თუ პატიმარი ხმამაღლა ეძახის ციხის კონტროლიორს კონკრეტული ლეგიტიმური საჭიროებისთვის და მისი ხმამაღალი ძახილი გამოწვეულია საკანში არსებული რკინის კარითა და შესაბამისად, ხმის გამტარიანობის დაბალი ხარისხით, ეს ფორმალურად შეიძლება იყოს კიდეც ხმაური, მაგრამ მსგავსი ხმაური შეიძლება და არის თუ არა შეფასებული ადმინისტრაციის მხრიდან დისციპლინურ დარღვევად და არის თუ არა მიჩნეული, რომ ეს არღვევს ციხის წესრიგს და უსაფრთხოებას, ამის გარკვევა დისციპლინური განკარგულებიდან შეუძლებელია.

არცერთ განკარგულებაში არ ჩანს პატიმრის მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენის გამომწვევი მიზეზი, არ არის დადგენილი მიზეზშედეგობრივი კავშირი გადაცდომამდე არსებულ გარემოებებსა და პატიმრის მხრიდან ჩადენილ კონკრეტულ გადაცდომას შორის

მნიშვნელოვანია განკარგულებებში მიეთითოს იმ გარემოებებზე, რომელთა მიზეზით და მოტივითაც მოქმედებდა პატიმარი, რამაც გამოიწვია დისციპლინური პასუხისმგებლობის წარმოების დაწყება; რა ფორმით განემარტა მას ამ ქმედების შეწყვეტისა და შესაძლო პასუხისმგებლობის თაობაზე ინფორმაცია. პენიტენციური დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ასეთი გარემოებების შესახებ მონაცემებს არ შეიცავს.

წინარე ვითარებასა და გადაცდომას შორის არსებულ მიზეზშედეგობრიობაზე მსჯელობა უფრო მეტად დასაბუთებულს გახდიდა განკარგულებას. ობიექტური დამკვირვებელი დარწმუნდებოდა, რომ პატიმარი კანონშესაბამისად და საფუძვლიანად დაისაჯა, და არა მხოლოდ ფორმალური საფუძვლის გამოვლენის გამო.

მაგალითად, შეიძლება არსებობდეს შემთხვევა, როცა პატიმარი რამდენიმე დღის განმავლობაში კანონიერად ითხოვს სოციალური მუშაკის მისვლას გასაგზავნი კორესპონდენციის გადასაცემად, ხოლო მუშაკი მასთან არ მიდის და საბოლოოდ ეს იწვევს პატიმრის გაღიზიანებას/პროტესტს; ან მაგალითად, პატიმარს შეიძლება ჰქონდეს ფსიქიკური

[37] პატიმრობის კოდექსის მე-80 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის მიხედვით: „დისციპლინურ დარღვევად მიიჩნევა ქმედება, რომელიც არღვევს დაწესებულების დებულებას, ზიანს აყენებს წესრიგსა და უსაფრთხოებას და არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, კერძოდ: ....ხმაური ან სხვაგვარი ქმედება, რომელიც არღვევს წესრიგს და ხელს უშლის დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას“.

ხასიათის ჯანმრთელობის პრობლემები ან ძლიერი ემოციური სტრესის ქვეშ იმყოფებოდეს, და მისი დევიაციური ქცევა სწორედ ამ ფაქტორებით იყოს გამოწვეული და არა წესრიგის დარღვევის სურვილით, განზრახვით. ასევე, შესაძლოა, პატიმარს ჰქონდეს ჯანმრთელობის პრობლემა და ხმამაღლა ითხოვდეს ექიმს; ან შესაძლებელია პატიმრის მიმართ დაწესებულების რომელიმე თანამშრომლის მხრიდან ადგილი ჰქონდა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს, რასაც მოჰყვა პატიმრის რეაქცია.

ცხადია, წესრიგის დარღვევა პატიმრის მხრიდან დადებითად ვერ შეფასდება და ვერ გამართლდება, მაგრამ თუ ციხის დირექტორი არ გამოარკვევს ამ გარემოებებს, თუ რა უძღოდა წინ პატიმრის ქცევას და არ დაადგენს პატიმრის მიზანსა და მოტივს, მისი განკარგულება პატიმრის დასჯის თაობაზე ვერ დააკმაყოფილებს სამართლიანობის პრინციპს, რაც მას მოქმედი კანონმდებლობით მოეთხოვება [38].

განკარგულებები არ შეიცავს დასაბუთებას კონკრეტული სანქციის გამოყენების პროპორციულობის შესახებ

არცერთი განკარგულება არ შეიცავს დასაბუთებას იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ ჩაითვალა კონკრეტული გადაცდომისთვის აუცილებლად და პროპორციულად კონკრეტული სანქციის გამოყენება, რატომ არ იქნებოდა საკმარისი უფრო მსუბუქი სანქციის გამოყენება.

თავისთავად ცხადია, რომ დისციპლინური სახდელის დაკისრება კიდევ უფრო მეტად ზღუდავს თავისუფლებააღკვეთილი პირების თავისთავად შეზღუდულ უფლებებს, რამდენადაც დამატებითი შეზღუდვები არ არის უშუალოდ თავისუფლების აღკვეთის ზომის შემადგენელი ნაწილი. ამიტომ, მათი გამოყენება მოითხოვს ცალკე დასაბუთებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია გადამოწმდეს, რამდენად გამართლებული და მიზანშეწონილია კონკრეტული ზომის გამოყენება.

მაგალითად, წამების პრევენციის კომიტეტი აღნიშნავს, რომ ოჯახთან კავშირის აკრძალვა დისციპლინური ღონისძიების სახით მხოლოდ მაშინ უნდა გამოიყენებოდეს, თანაც მხოლოდ უმოკლესი ვადით (რამდენიმე დღის და არა კვირის ან თვის განმავლობაში), თუ დარღვევა უკავშირდება ოჯახთან კონტაქტის შესაძლებლობის გამოყენებას .[39] აღნიშნული მითითების მიუხედავად, შესწავლის შედეგები საპირისპირო მიდგომას ავლენს. კერძოდ, 60 შემთხვევაში პირს სახდელი ხმაურის გამო დაეკისრა, თუმცა, სახდელის სახით 7 შემთხვევაში პატიმარს ხანმოკლე პაემნით სარგებლობის უფლება აეკრძალა, რის გამოც შეეზღუდა ოჯახთან კომუნიკაციის შესაძლებლობა.

---

[38] პატიმრობის კოდექსი, მუხ. 84. ნაწ. 5.

[39] წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის 2019 წელს გამოცემული, 2018 წლის საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიში, პარ. 100, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე < https://rm.coe.int/1680945eca > [ბოლოს ნანახია 07.06.2019] წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის 2015 წელს გამოცემული, 2014 წლის საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიში, პარ. 119, ხელმისაწვდომია < https://rm.coe.int/16806961f8 > [ბოლოს ნანახია 07.06.2019]

განკარგულებები არ შეიცავს დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების შესახებ ინფორმაციას

მნიშვნელოვანია, რომ პროპორციულობის უზრუნველსაყოფად, პირის მიმართ დისციპლინური სახდელის დაკისრებამდე შეფასდეს მის მიმართ გამოყენებული სანქციების ისტორია და ჩადენილი გადაცდომების ხასიათი. მაგალითად, პატიმარმა პირველად ჩაიდინა გადაცდომის ეს სახე თუ ამას სისტემატური ხასიათი აქვს, იყო თუ არა იგი წარსულში დასჯილი დისციპლინური წესით, რა დისციპლინური ღონისძიება იყო წარსულში მის მიმართ გამოყენებული, როგორ ხასიათდება პატიმარი, იყო თუ არა იგი წარსულში წახალისებული, მონაწილეობს თუ არა საგანმანათლებლო პროგრამებში, მუშაობს თუ არა პენიტენციურ დაწესებულებაში და სხვ.

საყურადღებოა, რომ მოცემული გარემოებების შესახებ არცერთ შესწავლილ განკარგულებაში არ გვხვდება მითითება. თუმცა მისი გათვალისწინება მნიშვნელოვანია იმისათვის, რათა პატიმარს არ ჰქონდეს უსამართლობის განცდა. თუ ის ყოველთვის კეთილსინდისიერად იცავდა წესრიგს და ემორჩილებოდა ადმინისტრაციის კანონიერ მითითებებს, იღებს წახალისებებს, მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამებში და მხოლოდ ერთხელ დაარღვია დისციპლინა, მნიშვნელოვანია, ჰქონდეს განცდა, რომ ასეთი წარსული მისთვის შემამსუბუქებელი გარემოებაა და რომ ციხის დირექტორი ამას მხედველობაში მიიღებს.

არაერთგვაროვანი მიდგომა

არის შემთხვევები, როცა ერთი და იმავე გადაცდომის ჩადენა ორი პატიმრის მხრიდან, ადმინისტრაციის მხრიდან განსხვავებულად არის შეფასებული და სანქცირებული. განკარგულებიდან შეუძლებელია იმის ამოკითხვა, არსებობდა თუ არა რომელიმე პატიმრისთვის რაიმე დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი გარემოება, ან იყო თუ არა სხვაობა დარღვევის ხარისხსა და ინტენსივობაში.

მსგავსი პრობლემა გამოიკვეთა უკვე ნახსენებ 60 შემთხვევაში, როდესაც დისციპლინურ გადაცდომად „ხმაური საკანში“ ჩაითვალა. კერძოდ, ხმაურისთვის პატიმარს 7 შემთხვევაში ხანმოკლე პაემნის უფლება აეკრძალა, 10 შემთხვევაში - ტელეფონით სარგებლობის უფლება, 6 შემთხვევაში – სამარტოო საკანში მოთავსება იყო გამოყენებული, ხოლო 37 შემთხვევაში – საყვედური გამოეცხადათ. განკარგულებებში არ იკვეთება სანქციის პროპორციულობის დასაბუთება და აბსულუტურად გაუგებარია, რა მიზეზით გამოიყენა პენიტენციურმა დაწესებულებამ განსხვავებული პრაქტიკა სხვადასხვა შემთხვევაში.

ასევე, მაგალითად, 32 შემთხვევაში პატიმარი დისციპლინური წესით იმის გამო დაისაჯა, რომ უარი განაცხადა საკნიდან გამოსვლაზე. აქედან 3 შემთხვევაში იგი მოათავსეს სამარტოო საკანში, 1 შემთხვევაში შეეზღუდა ამანათის მიღების უფლება, 1 შემთხვევაში - ხანმოკლე პაემნის უფლება, 2 შემთხვევაში - ტელეფონზე საუბრის უფლება, 12 შემთხვევაში -

გამოეცხადათ გაფრთხილება, ხოლო 13 შემთხვევაში - საყვედური. ამ შემთხვევაშიც გაუგებარი იყო, რატომ გამოიყენეს დაწესებულების დირექტორებმა განსხვავებული მიდგომა მსგავსი ფაქტობრივი მოცემულობის შეფასებისას.

არცერთ საქმეზე არ ჩატარებულა ზეპირი მოსმენა

ზეპირი მოსმენა ეფექტიანი დაცვის უფლების ერთ-ერთი ქმედითი მექანიზმია, თუმცა წარმოდგენილი განკარგულებიდან არცერთში არ ჩანს ზეპირი მოსმენის ჩატარების ფაქტი.

ჩვენს მიერ შესწავლილი საქმეები ცხადყოფს, რომ დისციპლინური სამართალწარმოება 81.3% (249 შემთხვევაში) ზეპირი მოსმენის გარეშე იმართება, ხოლო 18.7% (58 შემთხვევაში) საერთოდ არ იკვეთება, რა ფორმით ჩატარდა განხილვა, ვინაიდან განკარგულებებში არ არის შესაბამისი მითითება. განკარგულება დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ გამყარებულია მხოლოდ დაწესებულების თანამშრომელთა ახსნა-განმარტებებითა და პატაკებით. პატიმრები დისციპლინურ სამართალწარმოებაში პრაქტიკულად არ მონაწილეობენ. შესაბამისად, გადაწყვეტილებას დაწესებულების დირექტორი პატიმრის პოზიციის მოსმენისა და მტკიცებულებების მხარეთა მიერ გამოუკვლეველად იღებს.

კანონმდებლობა აცხადებს, რომ ზეპირი მოსმენა მხოლოდ იმ შემთხვევაში ტარდება, თუ დაწესებულების დირექტორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი მიიჩნევს, რომ საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა დამატებითი ინფორმაციის მიღება.[40] მიუხედავად ამისა, შესწავლილი საქმეები ცხადყოფს, რომ პატიმრის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის ფაქტი პრაქტიკულად მხოლოდ ციხის თანამშრომლების განმარტებებით დასტურდება და არცერთ საქმეში ნეიტრალური მტკიცებულება არ მოიპოვება, გაუგებარია, კიდევ რა გარემოებების საჭიროება/ინფორმაციის რა დოზის სიმცირე უნდა არსებობდეს საიმისოდ, რომ დისციპლინური ღონისძიების განხილვის ზეპირი მოსმენით გამართვის საჭიროება დადგეს.

საქმეთა დიდ უმრავლესობაში არ მოიპოვება პატიმრის წერილობითი ახსნა-განმარტება/პოზიციის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი

307 შემთხვევიდან მხოლოდ 5 საქმეში დევს მსჯავრდებულის წერილობითი ახსნა-განმარტება. აღნიშნული საერთო რაოდენობის 1.6%-ია. სხვა 302 შემთხვევაში დაწესებულების დირექტორმა პატიმრის დასჯის გადაწყვეტილება პატიმრის პოზიციის მოსმენის გარეშე მიიღო. ეს მოცემულობა ბადებს ეჭვს, იცოდნენ თუ არა დანარჩენ 302 შემთხვევაში პატიმრებმა მათ წინააღმდეგ მიმდინარე დისციპლინური საქმისწარმოების შესახებ.

[40] პატიმრობის კოდექსი, მუხ. 84, ნაწ. 1.

არცერთ საქმეში არ ჩანს პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი ინფორმაცია ან სხვა რელევანტური ინდივიდუალური მახასიათებლების ამსახველი ინფორმაცია

როგორც უკვე აღინიშნა, შესაძლებელია, პატიმრის მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენის მაპროვოცირებელი გარემოება მისი ჯანმრთელობის მდგომარება იყოს. ერთი მხრივ, მას შეიძლება ჰქონდეს ფსიქიკური ხასიათის პრობლემები და ვერ აკონტროლებდეს სრულყოფილად მის ქმედებებს და მისი ქმედების დისციპლინურ გადაცდომად მისაჩნევად, სწორედ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება იქნებოდა რელევანტური და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი. მეორე მხრივ კი, პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს თავად დისციპლინური სანქციის ზომისა და სახის განსაზღვრისას. მაგალითად, თუ პატიმარი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია, სარგებლობს ეტლით და დამოუკიდებლად ვერ გადაადგილდება, ხოლო კონკრეტული პენიტენციური დაწესებულების სამარტოო საკნები არ არის ადაპტირებული და პატიმრის მსგავს სამარტოო საკანში მოთავსებამ, შეიძლება დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის რისკი წარმოქმნას, დაწესებულების დირექტორს უნდა ჰქონდეს შეფასებული ეს გარემოებები და განკარგულებაში შესაბამისი მსჯელობა წარმოდგენილი.

ამრიგად, რიგ დისციპლინურ სახდელებთან მიმართებით ექიმის წერილობით დადასტურებული პოზიცია მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, მნიშნელოვანია იმისათვის, რათა განისაზღვროს, ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად, შეესაბამება თუ არა კონკრეტული სანქცია კონკრეტულ პატიმარს.

აღნიშნული საჭიროების თვალნათელ მაგალითს წარმოდგენს თბილისის საქალაქო საქმეთა ადმინისტრაციული სასამართლოს კოლეგიის მსჯელობა ერთ–ერთ საქმეში[41]. კერძოდ, მსჯავრდებულის მიმართ თერთმეტი თვის განმავლობაში 16-ჯერ იქნა გამოყენებული დისციპლინური ღონისძიება, ხოლო 4-ჯერ უსაფრთხოების ღონისძიება (უსაფრთხო ოთახში მოთავსება).[42] სასამართლომ იმსჯელა, რომ მსჯავრდებულს აღენიშნებოდა არაფსიქოზური დონის ფსიქიკური აშლილობა - ემოციურად არამდგრადი პერსონოლოგიური აშლილობა, მას არ შეეძლო სრულად გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი, მართლწინააღმდეგობა და ემართა იგი (შეზღუდული შერაცხადობა).[43] აღნიშნული სუბიექტური გარემოება ცალსახად ახდენს გავლენას სანქციის მოცულობასა და ხასიათზე, რამდენადაც სრულად გამორიცხავს მისი გამოყენების საჭიროებას. ამ შემთხვევაში სამედიცინო ღონისძიებების გამოყენებაა მიზანშეწონილი და არა დისციპლინური სანქცია. ყოველივე აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ დისციპლინური სამართალწარმოებისას გადაცდომის ფაქტის დადგენის პროცესში შესაბამისი სამედიცინო შემოწმების შედეგები

[41]თბილისის საქალაქო საქმეთა ადმინისტრაციული სასამართლოს კოლეგიის 2018 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილება №3/3342-17 საქმეზე.

[42] 2018 წლის 1 თებერვლის თბილისის ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის №3/3342-17 საქმე პარ.3.1.5.

[43] იქვე. პარ.6.4.

ერთ-ერთი არსებითი მტკიცებულება იქნებოდა, რამდენადაც იგი საბოლოო შედეგზე – სანქციის გამოყენების მიზანშეწონილობაზე პირდაპირ აისახებოდა.

არცერთ საქმეში არ ყოფილა ჩართული ადვოკატი

307-დან არცერთ საქმეში არ ყოფილა პატიმრის ინტერესების დასაცავად ჩართული ადვოკატი. იმ გარემოების პარალელურად, რომ ფაქტობრივად არც თავად პატიმართა ჩართულობა ფიქსირდება, ჩნდება ვარაუდი, რომ შესაძლებელია პატიმრებისთვის არც არის ცნობილი მათ მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობის ფაქტის შესახებ, შესაბამისად, ისინი ვერც უშუალოდ და ვერც ადვოკატის მეშვეობით კანონიერ ინტერესებს ვერ იცავენ.

დისციპლინური ბრალდების შესახებ ინფორმაციის მიწოდება

პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ თავისუფლებააღკვეთილ პირს, რომელსაც დისციპლინური ბრალდება უნდა წაეყენოს დისციპლინური გადაცდომისათვის, უფლება აქვს[44], წინასწარ იცოდეს იმის შესახებ, თუ რა ფაქტის გამო და ვინ უნდა წაუყენოს ბრალი, ასევე, რა მტკიცებულებები არსებობს მის წინააღმდეგ. არცერთ საქმეში არ ჩანს, რომ პატიმარს ამის შესახებ ეცნობა და განემარტა, თუ რის საპასუხოდ უნდა მოემზადებინა დაცვის სტრატეგია. ამით გამოირიცხა პატიმრის ეფექტიანი დაცვის გონივრული შესაძლებლობა.

გონივრული დრო და საშუალება კანონიერი ინტერესის დასაცავად

კანონმდებლობის თანახმად, პატიმარს უნდა მიეცეს საკმარისი დრო და საშუალება დაცვის მოსამზადებლად.[45] გონივრულ დროსთან ერთად მას უნდა მიეცეს მისი პოზიციის დამადასტურებელი მტკიცებულებების, უშუალოდ ან ადვოკატის მეშვეობით, წარდგენის შესაძლებლობა.

სამწუხაროდ, სამართალწარმოების მთლიანი პროცესის ანალიზი აჩვენებს, რომ არც პატიმარია ჩართული მის მიმართ წარმოებულ პროცესში, არც მისი ადვოკატი, არც დრო განესაზღვრება პატიმარს დაცვის პოზიციის წარმოსადგენად, არც ადმინისტრაციის მიერ მოპოვებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია გადაეცემა სტრატეგიის დასაგეგმად და არც პატიმრის მტკიცებულებების წარდგენის ფაქტები ფიქსირდება.

დასაბუთებული განკარგულების ჩაბარება

[44] პატიმრობის კოდექსი, მუხ. 83.
[45] იქვე. მუხ. 83, ქვეპ. „ბ“.

განკარგულებათა შესწავლით ასევე იკვეთება პატიმართათვის განკარგულების ჩაბარების პრობლემა. პატიმრების მიმართ დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულებათა 49%-ის (151 განკარგულება) შემთხვევაში საერთოდ არ მოიპოვება ინფორმაცია დოკუმენტის ჩაბარების თაობაზე, ხოლო განკარგულებათა მეორე ნახევარზე – 51% (156 განკარგულება) გვხვდება პენიტენციური დეპარტამენტის სამართლებრივი რეჟიმის ოფიცრის შენიშვნა, სადაც აღნიშნულია, რომ მსჯავრდებულმა/ბრალდებულმა უარი განაცხადა მასალების ჩაბარებაზე.

აღნიშნული მონაცემები აღძრავს ეჭვს, რომ შესაძლოა, პატიმრებს არ ჩაბარებიათ განკარგულება და შესაბამისად, არც კი იციან მათ მიმართ გამოყენებული დისციპლინური სანქციის შესახებ. აღნიშნული ეჭვი მომდინარეობს არაერთი განცხადებისა ან რწმუნებულთან გასაუბრების დროს შედგენილი ოქმიდან, რომლებიც აპარატმა ბოლო წლებში შეისწავლა, სადაც პატიმრები მიუთითებდნენ, რომ მათთვის სრულიად უცნობი იყო დაკისრებული დისციპლინური სანქციების შესახებ და მხოლოდ მათთვის ვადაზე ადრე გათავისუფლების მექანიზმის გამოყენების ან სხვა საკითხის განხილვის დროს გახდა ცნობილი.

მნიშვნელოვანია, პატიმარს სამართლიანად და თანმიმდევრულად ეცნობოს ქმედების ბრალეულობისა და შედეგად გამოწვეული სანქციის საფუძვლები.

დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულების სასამართლოში გასაჩივრების პრაქტიკა

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი გარემოებების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დისციპლინური სახდელის გამოყენებისას პატიმართა უფლებრივი გარანტიების დაცვა სასამართლოს მეშვეობით პრობლემურია სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულების გამო.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ სასამართლოდან 2018 წლის 1 მაისიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით მიღებული მონაცემების თანახმად, დისციპლინური ღონისძიების შესახებ განკარგულება 24 შემთხვევაში გასაჩივრდა. აქედან 11 შემთხვევაში საჩივარი დახარვეზდა ბაჟის გადაუხდელობის გამო (იხ. დიაგრამა №3). გასაჩივრებული განკარგულებები დისციპლინური სახდელის გამოყენების შესახებ, სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო, ხარვეზიანად იქნა მიჩნეული შემდეგი განაწილებით: თბილისის საქალაქო სასამართლოში 100% (9 შემთხვევა); რუსთავის საქალაქო სასამართლოში 25% (1 შემთხვევაში); ბათუმის

საქალაქო სასამართლოში 11% (1 შემთხვევაში). მცხეთის რაიონულ სასამართლოში[46] საერთოდ არ იკვეთება ასეთი მიმართვიანობა.

უცნაური იყო ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან მიღებული პასუხი[47], რომლის თანახმადაც, დისციპლინური სახდელის გამოყენების შესახებ ადმინისტრაციულ საჩივარზე ბაჟის გადახდის ვალდებულება მოსარჩელეს არ აქვს.

დიაგრამა №3.



სახალხო დამცველის აპარატს წარმოებაში ჰქონდა ერთი საქმე[48], რომელშიც ერთ-ერთ პატიმარს ერთი და იმავე დარღვევისთვის ორჯერ დააკისრეს დისციპლინური სახდელი. კერძოდ, 2016 წლის 10 და 26 ივნისს, მსჯავრდებულ ზ.კ.-ს დაწესებულების დირექტორის განკარგულებებით დაეკისრა დისციპლინური სახდელები, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დაუყოვნებლივ აღსრულდა. მსჯავრდებულმა გაასაჩივრა განკარგულებები, შედეგად, რუსთავის საქალაქო სასამართლომ, 2016 წლის 22 სექტემბერს, მიიჩნია, რომ დირექტორის გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი იყო, გააუქმა განკარგულებები და საქმე ხელახალი განხილვისთვის გადაეგზავნა დაწესებულებას. დაწესებულებამ კვლავ განიხილა საკითხი და იმ ქმედებებისთვის, რაზეც უკვე აღსრულებული იყო განკარგულებები, 2016 წლის 25 ნოემბერს, კვლავ დააკისრა ახალი სახდელები, რომლებიც ისევ აღსრულდა.[49]

---

[46] მცხეთის რაიონული სასმართლოს იურისდიქციაში შედის ქსნის №15 და №19 დაწესებულებები.

[47] ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 22 ნოემბრის №13715-3 წერილი.

[48] აღნიშნული საქმე არ შედის პენიტენციური დეპარტამენტიდან, წინამდებარე ანგარიშის მიზნებისთვის, მოწოდებულ 307 საქმეში.

[49] საკითხის შესწავლის შედეგად, საქართველოს სახალხო დამცველმა, 2017 წლის 19 ივლისს №15-6/10104 წინადადებით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს ციხის დირექტორის

კანონმდებლობის ნაკლოვანება და შედარებითი სამართლებრივი მიმოხილვა

პენიტენციურ დაწესებულებებში დისციპლინური სამართალწარმოების ჩარჩო კანონმდებლობა მიმოხილულია ანგარიშის დასაწყისში, თუმცა წინამდებარე თავის მიზანი კანონმდებლობაში არსებული ნაკლოვანებების წარმოჩენაა. ასევე, ანგარიშის ამ ნაწილში განხილულია რელევანტური საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილება.

პენიტენციურ დაწესებულებებში დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების გამართული და ეფექტიანი მექანიზმის არსებობა, პენიტენციური სისტემის მთავარი მიზნების მისაღწევად, მეტად მნიშვნელოვანია. დისციპლინური სახდელის სწორად განსაზღვრა და ეფექტიანი გასაჩივრების პროცედურა ციხეში არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლის პროცესში ფუნდამენტური დაცვითი ღონისძიებებია.

საქართველოს პენიტენციური დაწესებულებების მიერ დისციპლინური სახდელების გამოყენების პრაქტიკის შესწავლამ არაერთი ხარვეზი გამოავლინა, რის შესაძლებლობასაც, პირველ რიგში, საქართველოს არსებული კანონმდებლობა იძლევა. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ როგორც პატიმრების, ისე პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის ინტერესია ნათელი და მკაფიო დისციპლინური პროცედურების გაწერა კანონში და, შემდგომ, მათი პრაქტიკაში აღსრულება. წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებობს პენიტენციურ დაწესებულებებში ადამიანის უფლებების დარღვევის რისკი. დისციპლინურმა პროცედურებმა პატიმრები შესაძლო კანონდარღვევაზე ციხის ადმინისტრაციის მიერ მათი პოზიციების მოსმენის შესაძლებლობითა და დაკისრებული სანქციის ეფექტიანი გასაჩივრების უფლებით უნდა უზრუნველყონ.[50]

წინამდებარე თავში სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოვლენილ იმ საკანონმდებლო ნაკლოვანებებს და საკითხებს წარმოგიდგენთ, რომლებიც საბოლოოდ პრაქტიკულ პრობლემებსაც ქმნის და არღვევს ადამიანის უფლებებს.

ამ მიმართულებით უნდა გამოიყოს შემდეგი საკითხები:

- არ არსებობს მცირე მნიშვნელობის დარღვევის გამო პატიმრის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებისა და მედიაციის მექანიზმები
- პატიმრის ქცევის შეფასებისას არ მოწმდება მისი განზრახვა თუ გაუფრთხილებლობა
- არ არსებობს დისციპლინური ბრალდების სტანდარტი

მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების მოთხოვნით, ერთი ქმედების გამო პატიმრის ორჯერ დასჯის გამო. სახალხო დამცველის მიმართვის საფუძველზე, 2017 წლის 7 ნოემბერს დისციპლინური სახდელები დაეკისრათ პენიტენციური დაწესებულების დირექტორს და სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ინსპექტორ-კონტროლიორს.

[50] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მეორე ზოგადი ანგარიშიდან ამონარიდები, პარ. 55 ხელმისაწვდომია ვებგვერდზე < https://rm.coe.int/16806ce96b > [ბოლოს ნანახია 25.05.2019]

- არ არის განსაზღვრული დისციპლინური მოკვლევის ეტაპები და საქმისწარმოების ვადები
- არ ხდება დისციპლინური ბრალდების შეტყობინება
- არ არის გათვალისწინებული ეფექტიანი დაცვის საშუალებები
- ზეპირი განხილვის ჩატარების საფუძველი არ არის სრულყოფილი
- საქმის ერთპიროვნული განხილვის პრობლემა და საკითხის გადამწყვეტი პირის აცილების/თვითაცილების საკითხის დაურეგულირებლობა
- კანონი არ ითვალისწინებს დისციპლინური განკარგულების დასაბუთების სტანდარტს
- არ არის განსაზღვრული დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები
- არ არსებობს სანქციის სახეების გამოყენების სტრუქტურული და დეტალური სქემა, რომელიც ხელს შეუწყობდა ინდივიდუალურად განსაზღვრული და პროპორციული სანქციის გამოყენებას
- არ არსებობს დისციპლინური სახდელის გამოყენების ალტერნატიული ღონისძიებები
- პრობლემურია სამარტოო საკანში მოთავსების ხანგრძლივობა და მისი გამოყენების ტესტის არარსებობა

არ არსებობს მცირე მნიშვნელობის დარღვევის გამო პატიმრის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებისა და მედიაციის მექანიზმები

კანონმდებლობის მიხედვით, პირი დისციპლინურად შეიძლება დაისაჯოს იმ შემთხვევაში, თუ მან ჩაიდინა ქმედება, რომელიც არღვევს დაწესებულების დებულებას, ზიანს აყენებს წესრიგსა და უსაფრთხოებას და არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს.[51] თუმცა, კანონი იქვე არ აკეთებს დათქმას იმაზე, რომ თუ პატიმარმა მცირე მნიშვნელობის დარღვევა ჩაიდინა, ეს დისციპლინის დარღვევად არ ჩაითვლება.

მაგალითად, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევა დისციპლინურ დარღვევად მიიჩნევა.[52] თუმცა, თუ მაგალითად პატიმარმა ერთი დღის განმავლობაში არ დაალაგა თავისი საცხოვრებელი საკანი, ეს შეიძლება თუ არა ჩაითვალოს სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევად, რის გამოც შესაძლებელი იქნება მისი დასჯა.

ევროპული ციხის წესების მიხედვით, ციხის ადმინისტრაციამ, პატიმრებთან კამათის გადასაჭრელად, მედიაციის ყველა შესაძლებლობა უნდა გამოიყენოს.[53] დისციპლინურ გადაცდომად მხოლოდ ისეთი ქმედება შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც საფრთხეს უქმნის წესრიგს, უსაფრთხოებას და უშიშროებას.[54] წესების მიხედვით, დისციპლინური სასჯელი განიხილება როგორც უკიდურესი საშუალება.[55]

---

[51] პატიმრობის კოდექსი, მუხ. 80.
[52] იქვე. ქვეპ. „ა“.
[53] ევროპული ციხის წესები, პუნქ. 56.2.
[54] იქვე. პუნქ. 57.1.
[55] იქვე. პუნქ. 56.1.

ქართულ რეალობაში კი, რაოდენ მცირე ტიპის დარღვევაც არ უნდა იყოს, დაწესებულების დანაყოფის სამართლებრივი რეჟიმის დაცვაზე პასუხისმგებელი მოსამსახურე ვალდებულია, ოქმი შეადგინოს და ამის შესახებ დირექტორს პატაკით აცნობოს,[56] რომელიც, თავის მხრივ, 10 დღის ვადაში იღებს სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას.[57]

სამწუხაროდ, კანონმდებლობა არ იძლევა დარღვევის მცირე მნიშვნელობის გამო საქმისწარმოების არ დაწყების ან შეწყვეტის შესაძლებლობას. ასევე, არ ითვალისწინებს მედიაციის მექანიზმს. შესაბამისად, საკითხი ადმინისტრაციასა და პატიმარს შორის ყოველთვის ერთგვარი კონფლიქტით სრულდება და რჩება განცდა, რომ ციხის დირექტორს თუ მის მიერ უფლებამოსილ პირს, არ აქვთ მცდელობა მედიაციის მეშვეობით მორიგდნენ/შერიგდნენ პატიმართან, რაც მას ადმინისტრაციის კეთილგანწყობის მიმართ ნდობას აუმაღლებდა.

პატიმრის ქცევის შეფასებისას არ მოწმდება მისი განზრახვა თუ გაუფრთხილებლობა

კანონმდებლობა არ პასუხობს შეკითხვას, პატიმრის მიერ ჩადენილი გაუფრთხილებელი ქმედება შეიძლება თუ არა შეფასდეს დისციპლინურ გადაცდომად. თუ პატიმარი შემთხვევით დააზიანებს დაწესებულების ინვენტარს, ეს გამორიცხავს მის პასუხისმგებლობას, უფრო მსუბუქად დაისჯება, თუ შეიძლება იმ პირის იდენტურად დაისაჯოს, ვინც შეგნებულად დააზიანებს დაწესებულების საკუთრებას.

არ არსებობს დისციპლინური ბრალდების სტანდარტი

კანონმდებლობა არ განსაზღვრავს მინიმალურ სტანდარტს, რომელიც აუცილებელი იქნება დისციპლინური ბრალდებისთვის ან საკმარისად ჩაითვლება დისციპლინურ პასუხისგებაში მისაცემად.

არ არის განსაზღვრული დისციპლინური მოკვლევის ეტაპები და საქმისწარმოების ვადები

კანონმდებლობით არ არის გამოკვეთილი დისციპლინური მოკვლევის ეტაპი, არც ვადებია განსაზღვრული. მაგალითად, დაწესებულების დებულებების მიხედვით[58], დარღვევის აღმოჩენისას დაწესებულების დანაყოფის სამართლებრივი რეჟიმის დაცვაზე პასუხისმგებელი შესაბამისი მოსამსახურე ადგენს ოქმს დისციპლინური დარღვევის შესახებ, ოქმში მიუთითებს კონკრეტულ გარემოებებს, მტკიცებულებებს, მოწმეებს, დაზარალებულს; ამასთან, ოქმის შედგენის დროს, ისევე როგორც საქმისწარმოების შემდგომ ეტაპებზე, მტკიცებულებების შეგროვების მიზნით, დაწესებულებას შეუძლია ფოტო-ვიდეო და აუდიო მასალა/ტექნიკა გამოიყენოს.

---

[56] მაგალითად, იხილეთ №6 პენიტენციური დაწესებულების დებულება, მუხ. 78, პუნქ. 6.

[57] პატიმრობის კოდექსი, მუხ. 85, ნაწ. 2.

[58] მაგალითად, იხ. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №108 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №6 პენიტენციური დაწესებულების დებულება, მუხ. 78, მე-3 და მე-4 პუნქტები.

ამასთან, პატიმრობის კოდექსი ადგენს დისციპლინური სახდელის დაკისრების ვადას და ის დარღვევის გამოვლენიდან არა უგვიანეს 10 დღით განისაზღვრება.[59] თუმცა ამ 10 დღის განმავლობაში რა ვადა აქვს დაწესებულების დანაყოფის სამართლებრივი რეჟიმის დაცვაზე პასუხისმგებელ მოსამსახურეს მტკიცებულებების შესაკრებად, ან რამდენ ხანში უნდა წარუდგინოს აღნიშნული მტკიცებულებები და ინფორმაცია საკითხის განმხილველ პირს - ციხის დირექტორს; ან რამდენ ხანში უნდა აცნობოს დისციპლინური ბრალდების შესახებ პატიმარს; რა ვადები აქვს თავად პატიმარს მტკიცებულებების მოსაპოვებლად; როდის უნდა წარადგინოს ეს მტკიცებულებები, თუ ზეპირი მოსმენა არ ტარდება; აქვს თუ არა დისციპლინური ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვების უფლებამოსილება დირექტორს დამოუკიდებლად, თუ დისციპლინური დარღვევის ფაქტის თაობაზე მტკიცებულებები ოქმის შემდგენმა პირმა უნდა წარადგინოს, ხოლო დირექტორმა, როგორც გადაწყვეტილების მიმღებმა ადმინისტრაციულმა ორგანომ, მხოლოდ განიხილოს და შეაფასოს; რა დრო აქვს საქმისწარმოების მაქსიმალური ათდღიანი ლიმიტიდან დირექტორს საკითხის განსახილველად; რა ვადა აქვს დასაბუთებული განკარგულების გამოსაცემად.

ვადებისა და ეტაპების დაურეგულირებლად და ფუნქციების მკვეთრად გაუმიჯნავად, პრაქტიკულად ვდგებით იმ რეალობის წინაშე, როცა დირექტორი წინსწრებით დისციპლინური ბრალდების მხარესთან (დაწესებულების დანაყოფის სამართლებრივი რეჟიმის დაცვაზე პასუხისმგებელ მოსამსახურე) გაერთიანებული მოქმედებს პატიმრის დასასჯელად, მათ მიერ ერთპიროვნულად დადგენილ ვადებში (10 დღიან ლიმიტში). მაგალითად, ციხის თანამშრომლის პატაკის საფუძველზე, დირექტორმა, პატიმრისთვის გონივრული ვადის და შესაძლებლობის მიცემის გარეშე, იმავე დღეს შეიძლება გადაწყვიტოს საკითხი.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ საქმეებში გამოიკვეთა, რომ ეს არცთუ იშვიათი პრაქტიკაა. **მაგალითად, 2018 წლის 10 აპრილს, 19 საათსა და 40 წუთზე, №15 დაწესებულების დირექტორმა დისციპლინური წესით დასაჯა მსჯავრდებული, იმავე დღის 18 საათსა და 30 წუთზე ჩადენილი ქმედებისთვის. დისციპლინური სამართალწარმოების ჩასატარებლად და განკარგულების გამოსაცემად დირექტორს სულ რაღაც 1 საათი და 10 წთ. დასჭირდა.**[60] მეორე შემთხვევაშიც ზუსტად 1 საათი და 10 წუთი იყო საკმარისი პატიმრის დასასჯელად. **პატიმრის მიერ 2018 წლის 10 აპრილს 20 საათსა და 20 წუთზე ჩადენილი ქმედება, დირექტორის განკარგულებით იმავე დღის 21 საათსა და 30 წუთზე იქნა მიჩნეული დისციპლინურ დარღვევად.**[61] ერთდღიანი ვადა საკმარისი აღმოჩნდა №8 პენიტენციური დაწესებულებისთვისაც. 2018 წლის 1 აპრილს ჩადენილი ქმედებისთვის პატიმარი იმავე დღეს დაისაჯა, თუმცა, სამწუხაროდ, არ არის მითითებული განკარგულების გამოცემის

[59] პატიმრობის კოდექსი, მუხ. 85, ნაწ. 2.
[60] განკარგულება № MOC 6 18 00316220.
[61] განკარგულება № MOC 5 18 00316283.

კონკრეტული დრო და შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რამდენი საათი მოანდომა დაწესებულებამ დისციპლინური სამართალწარმოების ჩატარებას.[62] ანალოგიური ვითარება, კერძოდ, ერთდღიან პერიოდში სრული სამართალწარმოების ჩატარების შემთხვევა გამოვლინდა №2 პენიტენციურ დაწესებულებაშიც, სადაც პატიმარმა დარღვევა ჩაიდინა 2018 წლის 21 იანვარს 15:55 საათზე და დირექტორმა იმავე დღეს გამოსცა განკარგულება.[63]

არ ხდება დისციპლინური ბრალდების შეტყობინება

მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობა ცალსახად ითვალისწინებდეს პატიმრისთვის დისციპლინური ბრალდების გაგზავნის ვალდებულებას და ასევე, დეტალურად იყოს გაწერილი ის მონაცემები, თუ რა უნდა ეწეროს პატიმრისთვის გაგზავნილ დისციპლინური ბრალდების შესახებ შეტყობინებაში. საქართველოს პენიტენციური დაწესებულებების დებულებების მიხედვით, პატიმრის დადგენილი უფლებების გაცნობის ფორმაში არ არსებობს ჩანაწერი, სადაც პატიმრის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდების შესახებ ინფორმაცია მიეთითებოდა.

არ არის გათვალისწინებული ეფექტიანი დაცვის საშუალებები

არც პატიმრობის კოდექსი და არც კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები არ ითვალისწინებენ პატიმრის მიერ მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობის დეტალურ წესებს. რა ვადები აქვს პატიმარს ან როგორ უნდა მოიპოვოს მტკიცებულებები. მაგალითად, თუ პატიმარი დახურული ტიპის დაწესებულებაშია მოთავსებული და ვარაუდობს, რომ სხვა პატიმრებმა გაიგონეს ან დაინახეს, იციან მისი ინტერესებისთვის სასარგებლო გარემოების შესახებ, როგორ უნდა გადაამოწმოს მან სავარაუდო მოწმეების არსებობის ფაქტი; როგორ უნდა განსაზღვროს რელევანტური მოწმეების არეალი; ან თუ პატიმარს მიაჩნია, რომ მის მიერ დისციპლინური დარღვევის ჩადენის ვარაუდს გამორიცხავს საკანში არსებული ვიდეოკამერების ჩანაწერები, როგორ უნდა მოიპოვოს, გაეცნოს და დარწმუნდეს ამ ფაქტის არსებობასა თუ არარსებობაში[64] (გამოადგება თუ არა მტკიცებულება); კანონი ასევე არ განსაზღვრავს, როგორ უნდა მოიპოვოს, დალუქოს ან სხვა ტექნიკური მოწყობილობით დააფიქსიროს პატიმარმა ნივთიერი მტკიცებულება. მაშინ როდესაც, იგივე უფლებამოსილება დაწესებულებას პირდაპირ საკანონმდებლო აქტებით აქვს მინიჭებული.[65]

---

[62] განკარგულება №288882.

[63] განკარგულება № MOC 3 18 00054723.

[64] ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის განსაზღვრის თაობაზე საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის №35 ბრძანება არ ანიჭებს პატიმარს იმის უფლებას, მოითხოვოს ვიდეოჩანაწერების დაარქივება, ასევე, არ აქვს ამ ვიდეოჩანაწერების ნახვის შესაძლებლობა.

[65] მაგალითად, იხ. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №108 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №6 პენიტენციური დაწესებულების დებულება, მუხ. 78, მე-3 და მე-4 პუნქტები.

შესაბამისად, კანონის ის ჩანაწერი, რომელიც პატიმარს თითქოსდა აძლევს უფლებას წარადგინოს მტკიცებულება,[66] ნომინალურია და ფაქტობრივად არ მოქმედებს.

ზეპირი განხილვის ჩატარების საფუძველი სრულყოფილად არ არის გაწერილი

საქართველოს პატიმრობის კოდექსის[67] მიხედვით, დისციპლინური დარღვევის საქმეს ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილავს დაწესებულების დირექტორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი. თუ დაწესებულების დირექტორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი მიიჩნევს, რომ საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა დამატებითი ინფორმაციის მიღება, მას უფლება აქვს, საქმე ზეპირი მოსმენით განიხილოს. შედარებითი სამართლებრივი გამოცდილება ზეპირი განხილვის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე მეტყველებს.[68] ქართულ რეალობაში კი, იმის ვალდებულებაც კი არ არსებობს, რომ მინიმუმ მოსალოდნელი მკაცრი დისციპლინური ღონისძიების თაობაზე განხილვა მაინც წარიმართოს ზეპირ მოსმენაზე.

საქმის ერთპიროვნული განხილვის პრობლემა და საკითხის გადამწყვეტი პირის აცილების/თვითაცილების საკითხის დაურეგულირებლობა

საქართველოს პატიმრობის კოდექსის 84-ე მუხლის მიხედვით, „დისციპლინური დარღვევის საქმეს ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილავს დაწესებულების დირექტორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი. თუ დაწესებულების დირექტორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი მიიჩნევს, რომ საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა დამატებითი ინფორმაციის მიღება, მას უფლება აქვს, საქმე ზეპირი მოსმენით განიხილოს.“ აღნიშნული ჩანაწერი ცხადყოფს, რომ საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში დისციპლინური დარღვევის საქმე განიხილება არა კოლეგიურად, არამედ, ერთპიროვნულად.

დისციპლინური წარმოების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები უმჯობესია კომისიის გზით მიიღებოდეს და არა ერთი ადამიანის მიერ, რადგან ამ შემთხვევაში უზრუნველყოფილია მეტი მიუკერძოებლობა (თვითნებური გადაწყვეტილების მიღების ალბათობის ნაკლებობის პროპორციულად) და იკლებს შეცდომის რისკი. ამავე დროს, ციხის ადმინისტრატორებს შესაძლოა პატიმართან ხშირად უწევდეთ ხანგრძლივი ურთიერთობა და წინასწარვე ჰქონდეთ შექმნილი დამოკიდებულება მის მიმართ, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენდეს საბოლოო გადაწყვეტილებაზე.

---

[66] პატიმრობის კოდექსი, მუხ. 84, ნაწ. 2.

[67] იქვე. ნაწ. 1.

[68] მაგალითად, აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ საქმეში Wolff v. McDonnell დაადგინა სამართალწარმოების საპროცესო სტანდარტები. სასამართლომ გამოყო სამი უფლება, რომელთა დაცვაც და უზრუნველყოფა სავალდებულოა ყველა განსახილველი საქმის დროს, კერძოდ: 1) სამართლიანი მოსმენის უფლება; 2) პატიმრებმა ბრალდების შესახებ წერილობითი შეტყობინება უნდა მიიღონ ზეპირ მოსმენამდე მინიმუმ 24 საათით ადრე; 3) ზეპირი მოსმენის შემდეგ პატიმარმა უნდა მიიღოს წერილობითი დოკუმენტი მოპოვებული მტკიცებულებებისა და იმ მიზეზების შესახებ, რამაც გამოიწვია დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

ასევე, არ არსებობს განმხილველი პირის აცილების სამართლებრივი ბერკეტები. მაგალითად, კანონმდებლობაში არ არსებობს ვითარების დამზღვევი რეგულაცია იმგვარი შემთხვევისთვის, როდესაც გარკვეული ინციდენტის მონაწილე თავად დირექტორია ან პირობითად მას მიემართებოდა სიტყვიერი შეურაცხყოფა პატიმრის მხრიდან. ვინ უნდა განიხილოს ეს საკითხი, რომლის მიმართაც დირექტორს წინასწარ აქვს შექმნილი სუბიექტური დამოკიდებულება.

მიუხედავად იმისა, რომ კანონი ითვალისწინებს დირექტორის მიერ სხვა პირისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრების საკითხის გადაწყვეტის უფლებამოსილების დაკისრების შესაძლებლობას[69], კანონი არ განსაზღვრავს წინაპირობებს, თუ როდის არის ეს სავალდებულო დირექტორისთვის - არ განსაზღვრავს თვითაცილების/აცილების პირობებს, რაც ქმნის მიკერძოებული პირის მიერ დისციპლინური გადაცდომის საკითხის განხილვის ალბათობას.

კანონი არ ითვალისწინებს დისციპლინური განკარგულების დასაბუთების სტანდარტს

პატიმრობის კოდექსი ადგენს, რომ განკარგულება დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს.[70] აქვე, ჩამოთვლის იმ საკითხებს, რომელთაც უნდა შეიცავდეს განკარგულება. ფორმალური მონაცემების მიღმა, კანონი ამბობს, რომ განკარგულება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას დარღვევის არსის შესახებ,[71] ასევე, მონაცემებს მოწმის, დაზარალებულის შესახებ; და მითითებას საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა მტკიცებულებებზე.[72]

ამრიგად, კანონის მოცემული მუხლების ანალიზი ცხადყოფს, რომ დისციპლინურ განკარგულებაში შეიძლება მხოლოდ მშრალად მიეთითოს ზემოაღნიშნული გარემოებები, მიეთითოს, არის თუ არა საქმეში მოწმეები, სხვა მტკიცებულებები, პატიმრის ახსნა-განმარტება და სხვ. თუმცა, რა დადგინდა მტკიცებულებათა ურთიერთშეჯერებით, იყო თუ არა სახეზე კონკრეტული ქმედება, ეს ქმედება იყო თუ არა ჩადენილი კონკრეტული პატიმრის მხრიდან, ქმედება განზრახ იყო ჩადენილი თუ გაუფრთხილებლობით, რა მიზანი და მოტივი ამოძრავებდა პატიმარს, იყო თუ არა შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოებები, კონკრეტული ფაქტის დადგენისას რომელი მტკიცებულებები გაიზიარა ციხის დირექტორმა, რომელი მტკიცებულება მიიჩნია სარწმუნოდ და რომელი არა და რა მიზეზით - ამ ყველაფერს განკარგულება არ შეიცავს. რეალურად კანონმდებლობა ამას არ ითხოვს გადაწყვეტილების მიმღები პირისგან და სამწუხაროდ, არც კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტზე უფრო გამართული პრაქტიკა შეგვხვდა ჩვენს მიერ შესწავლილ საქმეებში.

---

[69] პატიმრობის კოდექსი, მუხ. 85, ნაწ. 1.
[70] იქვე. ნაწ. 5.
[71] იქვე. ნაწ. 3, ქვეპ. „ვ“.
[72] იქვე. ნაწ. 3, ქვეპ. „ზ“.

საქმეში მოკვლეული ფაქტებისა და კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების მიზეზების წერილობითი დასაბუთება გადაწყვეტილების მიმღები პირების ვალდებულება უნდა იყოს. აღნიშნული პრაქტიკა ცალსახად შეუწყობს ხელს რაციონალური გადაწყვეტილებების მიღებას, რადგან გადაწყვეტილების მიმღები პირები იძულებულები გახდებიან იფიქრონ და შეაფასონ დისციპლინური სახდელის დაკისრების მიზეზები და შედეგები. ასევე, ფაქტების გამოკვლევა და დასაბუთებული დასკვნების დადება უზრუნველყოფს თანმიმდევრულ პრაქტიკას. დასაბუთებული გადაწყვეტილება პატიმარს მისცემს საშუალებას, გადაწყვიტოს, ღირს თუ არა გასაჩივრება და ამავე დროს, ზემდგომ ორგანოს ექნება შესაძლებლობა, კარგად გაერკვეს საქმეში, თუ რა საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა საქმის სრულყოფილად გამოსაკვლევად.

არ არის განსაზღვრული დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები

პატიმრობის კოდექსი აცხადებს, რომ პატიმრის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გამოყენებისას გაითვალისწინება მისი პიროვნება და ქცევა, აგრეთვე გარემოებები, რომელშიც იქნა ჩადენილი დისციპლინური დარღვევა.[73]

თუმცა კანონი არ უთითებს, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს შემამსუბუქებელ გარემოებად და რა - დამამძიმებლად. მაგალითად, ისეთი დისციპლინური სახდელი, რომელსაც გაუვიდა ხანდაზმულობის ვადა და გაქარწყლებულია, შეიძლება თუ არა მიიჩნეოდეს დამამძიმებელ გარემოებად, ან თუ პატიმარს 5 წლის წინ გამოეცხადა მადლობა წახალისების სახით, ეს შეიძლება იყოს გათვალისწინებული სახდელის ზომისა და სახის შერჩევისას. ამ შეკითხვებს კანონი ვერ პასუხობს.

არ არსებობს სანქციის სახეების გამოყენების სტრუქტურული და დეტალური სქემა, რომელიც ხელს შეუწყობდა ინდივიდუალურად განსაზღვრული და პროპორციული სანქციის გამოყენებას

ნიშანდობლივია, რომ არაერთი კანონი, რომლითაც საქართველოში სხვადასხვა სუბიექტის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები რეგულირდება, ადგენს დარღვევის სიმძიმისა და პროპორციული სახდელის გამოყენების წესებს. მაგალითად, საჯარო მოსამსახურის დისციპლინური გადაცდომები იყოფა მსუბუქ და მძიმე გადაცდომებად და კანონი იქვე განსაზღვრავს დარღვევის სიმძიმის გრადაციას, მოსალოდნელ პასუხისმგებლობას.[74] გადაცდომის სიმძიმეებისა და გამოსაყენებელი სახდელების პროპორციულობა განსაზღვრულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონშიც.

---

[73] იქვე. მუხ. 84, ნაწ. 6.

[74] „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 85.

კერძოდ, კანონი ადგენს, რა სახის გადაცდომა რა სიმძიმის დარღვევად მიიჩნევა და რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს კონკრეტულ გადაცდომას.[75]

სანქციის სახეების გამოყენების სტრუქტურული სქემა აშშ-ის ბევრ შტატში გამოიყენება. იგი დეტალურად აღწერს, თუ როდის არის შესაძლებელი ნაკლებად მკაცრი და მკაცრი სანქციების გამოყენება. მაგალითად, ვაშინგტონის სასჯელაღსრულების სახელმწიფო დეპარტამენტს შექმნილი აქვს პენიტენციურ დაწესებულებებში სანქციის დაკისრების სტრუქტურული სქემა, სადაც, ერთი მხრივ, კატეგორიზებულია ადმინისტრაციული დარღვევები და, მეორე მხრივ, კონკრეტულ ადმინისტრაციულ დარღვევებზე შესაძლო სანქციის სახეებია გაწერილი.[76]

საქართველოს კანონმდებლობა არ მოიცავს დარღვევისა და გამოსაყენებელი სანქციის კლასიფიციკაციას, გაიდლაინებს, რომლებიც გამოყენებული იქნება საორიენტაციოდ, თუ რა სახის დარღვევისთვის რა ტიპის დისციპლინური სახდელი უნდა იყოს შეფარდებული. ამავე დროს, არ არის გაწერილი სანქციის სახეების გამოყენების სტრუქტურული სქემა - ანუ როგორ ხდება უფრო მკაცრი სახდელის გამოყენება, როცა პირი თუნდაც ერთსა და იმავე გადაცდომას ჩადის, აქვს თუ არა მნიშვნელობა ინტენსივობას, ხანგრძლივობას, განმეორებითობას - რაც პენიტენციური დაწესებულებების ადმინისტრაციის დისკრეციული უფლებამოსილების თვითნებურად გამოყენების რისკს ზრდის და ხელს უწყობს არაერთგვაროვან პრაქტიკასა და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების მიღებას დისციპლინური სამართალწარმოებისას. დღევანდელი რეგულაციები იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ერთი და იგივე გადაცდომა დირექტორმა განსხვავებულად შეაფასოს და სხვადასხვა სიმძიმით დაისაჯონ პატიმრები, რაც ვერ პასუხობს სამართლიანობის პრინციპს. ამ პრობლემაზე მეტყველებს გაანალიზებული პრაქტიკაც.

პრობლემურია სამარტოო საკანში მოთავსების ხანგრძლივობა და მისი გამოყენების ტესტის არარსებობა

მოქმედი კანონმდებლობა ყველაზე მკაცრი დისციპლინური ღონისძიების სახით გვთავაზობს სამარტოო საკანში პატიმრის 14 დღემდე[77] ვადით მოთავსებას და ისიც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში[78]. თავად განსაკუთრებული შემთხვევების განსაზღვრებას პატიმრობის კოდექსი ან/და რომელიმე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი/პენიტენციური დაწესებულებების დებულებები არ მოიცავს. შესწავლილი პრაქტიკით კი შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რა იქნა მიჩნეული კონკრეტულ შემთხვევაში განსაკუთრებულ შემთხვევად, რამაც განსაზღვრა სამარტოო საკანში პატიმრის მოთავსების აუცილებლობა.

---

[75] „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხ. 75^{1} და 75^{48}.
[76] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/2Z70nvA >
[77] პატიმრობის კოდექსი, მუხ. 82, ნაწ. 1, ქვეპ. „ზ“.
[78] იქვე. მუხ. 88, ნაწ. 1.

სამარტოო საკანში მოთავსებულ პატიმარს ეკრძალება ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნები, სატელეფონო საუბარი, კვების პროდუქტების შეძენა, აგრეთვე, სასწავლო პროცესში მონაწილეობის უფლება.[79] ამრიგად, ნათელია, რომ სამარტოო საკანში მოთავსებისას პატიმარი მაქსიმალურ იზოლაციაში ექცევა. ამ ინტენსივობის დისციპლინური სახდელი კი, სამწუხაროდ, არანაირ წინაპირობას, დათქმას, წესს, პროცედურას არ ექვემდებარება. კანონმდებლობა არ განსაზღვრავს იმ დარღვევებს, რა შემთხვევაშიც შეიძლება ამ უკიდურესი დასჯის ზომის გამოყენება, არ ითვალისწინებს გრადაციას იმასთან დაკავშირებით, თუ რა ინტენსივობისა და ხარისხის დარღვევა რა ხანგრძლივობით შეიძლება იწვევდეს სამარტოო საკანში ყოფნას.

მაგალითად, ამ საკანონმდებლო მოცემულობით, შესაძლებელია საკანში პატიმარმა ხმამაღლა ჩართოს ტელევიზორი ღამის საათებში, ამან კი ხმაური გამოიწვიოს, რაც, თავის მხრივ, ციხის ადმინისტრაციამ შეიძლება დაწესებულების ნორმალური ფუნქციონირების ხელშემშლელ ფაქტორად შეაფასოს და პატიმრის მიმართ სამარტოო საკანში 14 დღით მოთავსება გამოიყენოს. მეორე მხრივ, პატიმარმა შეიძლება მართლაც ჩაიდინოს მძიმე სახის დისციპლინური დარღვევა, გაანადგუროს ინვენტარი, არ დაემორჩილოს ადმინისტრაციის მოთხოვნებს, არსებითად დაარღვიოს წესრიგი და ამ შემთხვევაში შეიძლება მის მიმართ სულაც არ იყოს გათვალისწინებული სამარტოო საკანში მოთავსება, ან რამდენიმე დღით მოათავსონ.

არაპროპორციული და არათანმიმდევრული პრაქტიკის თავიდან არიდების მიზნით, აუცილებელია კანონში მკაცრად გაიწეროს დარღვევების ის სახეობები, რომელთა დისციპლინურ სახდელად გათვალისწინებული იქნება სამარტოო საკანში მოთავსება. ასევე, კანონმა უნდა დაადგინოს დროის მაქსიმალური ლიმიტი, რომლის ფარგლებშიც უნდა იყოს განსაზღვრული სამარტოო საკანში განთავსების დღეების მაქსიმალური რაოდენობა კონკრეტული დარღვევების მიხედვით.

ამასთან, უცნაურია, მაგრამ კანონმდებლობა დისციპლინური სახდელის სახით გარკვეული უფლებების შეზღუდვას უდგენს ლიმიტს და აცხადებს, რომ ეს შეზღუდვები 1 წლის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.[80] მაშინ როდესაც სამარტოო საკანში განთავსების ლიმიტს კანონი არ იცნობს და თეორიულად პატიმარი სამარტოო საკანში შეიძლება ატარებდეს პრაქტიკულად მთელ წელს და სასჯელის პერიოდს.

პატიმრობის ზოგადი წესებისგან განცალკევებით უნდა შეფასდეს სამარტოო საკნის გამოყენების პრინციპები, რადგან სამარტოო საკანში განთავსება ნიშნავს ადამიანის უკვე შეზღუდული უფლებების კიდევ უფრო მეტად შეზღუდვას. იმის დასადგენად, თუ

[79] იქვე. ნაწ. 2.
[80] იქვე. მუხ. 82, ნაწ. 1, ქვეპ. „ზ“.

რამდენად არის გამართლებული ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სამარტოო საკანში პატიმრის განთავსება, საჭიროა შემდეგი ტესტის გამოყენება. კერძოდ:[81]

1) *კანონიერება:* ეროვნულ კანონმდებლობაში უნდა არსებობდეს გონივრული ჩანაწერი, რომელიც აღწერს ყველა იმ შემთხვევას, თუ როდის გამოიყენება სამარტოო საკანში განთავსება დისციპლინური სახდელის ფორმად. აღნიშნული ჩანაწერი კი ყველა პატიმარს უნდა მიეწოდოს და გასაგები ფორმით აეხსნას. ასევე აღწერილი უნდა იყოს ის პროცედურები, რომლითაც პატიმრებს შეუძლიათ ისარგებლონ მას შემდეგ, რაც სამარტოო საკანში გადაყვანა დაემუქრებათ. კანონი უნდა ითვალისწინებდეს პატიმრის უფლებას, წარმოადგინოს თავისი პოზიცია დისციპლინური სამართალწარმოების დროს და დაწესებულების თანამშრომლებისგან მოისმინოს მაქსიმალურად სრულყოფილი წერილობითი დასაბუთება და განმარტება, თუ რის საფუძველზე მიიღეს მისი სამარტოო საკანში გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილება. კანონი ასევე უნდა აღწერდეს მიღებული გადაწყვეტილების გადახედვის სიხშირეს, პროცედურებსა და მისი გასაჩივრების პროცედურების აღწერას.
2) *პროპორციულობა:* სამარტოო საკანში განთავსება პატიმრის უფლებების მნიშვნელოვანი შეზღუდვაა, რომელსაც ახასიათებს თანმდევი რისკები. პატიმრისთვის მიყენებული ფაქტობრივი ან პოტენციური ზიანი, ერთი მხრივ, მის მიერ ჩადენილი დარღვევის სიმძიმის შესაბამისი და, მეორე მხრივ, ცალსახად გამოსადეგი უნდა იყოს იმ მიზნის მისაღწევად, რაც დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების სისტემას აქვს პენიტენციურ დაწესებულებებში. ბევრ ქვეყანაში სამარტოო საკანს დისციპლინური სახდელის ფორმად მხოლოდ ყველაზე მძიმე დისციპლინური დარღვევების დროს იყენებენ. რაც უფრო დიდხანს გრძელდება სამარტოო საკანში პატიმრის მოთავსების პერიოდი, მით უფრო სერიოზული გამამართლებელი მიზეზია საჭირო და, ამასთან, უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვს დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან იმის დასადგენად, აღწევს თუ არა თავის მიზანს სამარტოო საკანში პატიმრის მოთავსება.
3) *აუცილებლობა:* სამარტოო საკანში პატიმრის განთავსება უკიდურესი ზომა, არსებითი, სამართლიანი და მიზნის მისაღწევად გამოსადეგი საშუალება უნდა იყოს. სამარტოო საკანში განთავსება ავტომატურად არ უნდა იწვევდეს ისეთ შეზღუდვას, როგორიც არის სატელეფონო ზარების, ვიზიტების, კორესპონდენციისა და სხვა ისეთ რესურსებთან წვდომის აკრძალვას, რომლითაც სხვა პატიმრები სარგებლობენ. თითოეული შესაძლებლობის შეზღუდვის საჭიროება დამოუკიდებლად უნდა იყოს დასაბუთებული და იგი ავტომატურად არ უნდა ებმოდეს სამარტოო საკანში განთავსებას.
4) *ანგარიშვალდებულება:* სამარტოო საკანში პატიმრის მოთავსების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებისა და მისი გადახედვის შედეგების სრული დოკუმენტირებული

[81] წამების საწინააღმდეგო კომიტეტის 21-ე ზოგადი ანგარიშიდან ამონარიდები, 2011, CPT/Inf(2011)28-part2. პარ. 55. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://rm.coe.int/16806cccc6 > [ბოლოს ნანახია 07.06.2019]

მასალა ოფიციალურად უნდა ინახებოდეს. აღნიშნული დოკუმენტები უნდა მოიცავდეს ყველა იმ ფაქტორსა და ინფორმაციას, რომელიც მხედველობაში მიიღეს გადაწყვეტილების მიღებისას. ასევე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში პატიმრის ჩართულობის შემთხვევაში აუცილებელია ეს ფაქტი დაფიქსირდეს ოფიციალურად, წერილობითი ფორმით და თან დაერთოს პატიმრის პირად საქმეს. გარდა ამისა, სამარტოო საკანში ყოფნის დროს პატიმართან განხორციელებული ნებისმიერი სახის ინტერაქცია, ასევე უნდა ფიქსირდებოდეს წერილობითი ფორმით, რომელშიც აისახება, მათ შორის, დაწესებულების თანამშრომლებსა და პატიმარს შორის კომუნიკაციის შინაარსი.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს პატიმრობის კოდექსის 88-ე მუხლის მიხედვით, სამარტოო საკანში მოთავსება, როგორც დისციპლინური სახდელი, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში გამოიყენება და ასეთ პირს ეკრძალება ხანმოკლე/ხანგრძლივი პაემნები, სატელეფონო საუბარი, კვების პროდუქტების შეძენა, აგრეთვე ეზღუდება სასწავლო პროცესში მონაწილეობის უფლება. აღნიშნულ ჩანაწერში, ერთი მხრივ, პრობლემატურია სიტყვები „განსაკუთრებულ შემთხვევებში“, რადგან არ არის განჭვრეტადი მოცემულობა, თუ რას გულისხმობს განსაკუთრებული შემთხვევები, და, მეორე მხრივ, სამარტოო საკანში მოთავსებულ პირს ავტომატურად ჩამოერთმევა ყველა ის უფლება, რითაც სხვა პატიმრები სარგებლობენ. მართალია, სამარტოო საკანში მოთავსება სადამსჯელო ხასიათის ქმედებაა, თუმცა კანონის საფუძველზე ავტომატურად მთელი რიგი უფლებების ჩამორთმევა სცდება გონივრული საჭიროების ფარგლებს. სასურველია, რომ კანონი პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციას აძლევდეს არჩევანის გაკეთების საშუალებას, კონკრეტულ შემთხვევებში თავად გადაწყვიტონ, თუ დამატებით რა უფლება ჩამოართვან პატიმარს.

პატიმრის სამარტოო საკანში განთავსების, როგორც დასჯის მიზეზი და ხანგრძლივობა სრულად უნდა იყოს დოკუმენტირებული და თან უნდა ერთვოდეს დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში ჩატარებული ზეპირი განხილვის მასალებს. ასეთი დოკუმენტები ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზედამხედველო ორგანოებისთვის. ასევე, აუცილებელია, არსებობდეს ეფექტიანი გასაჩივრების მექანიზმი.

ასევე, აუცილებელია, დაწესებულების თანამშრომლები სამარტოო საკანში მოთავსებულ პატიმრებს ყოველდღიურად მოინახულებდნენ. მათ უნდა შეეძლოთ პატიმრის სამარტოო საკნიდან დროზე ადრე გამოყვანის შესახებ წინადადების ინიცირება. ამგვარი ვიზიტებისა და გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციას ოფიციალური წერილობითი სახე უნდა ჰქონდეს.[82] ჩვენს რეალობაში კი, სამარტოო საკანში პირის ყოფნის ხანგრძლივობა შეიძლება

[82] იქვე. პარ. 57.

შემცირდეს ექიმის დასკვნის საფუძველზე,[83] ზედამხედველი თანამშრომლების შუამდგომლობის/ინიცირების შესაძლებლობას კანონი არ ითვალისწინებს.

დასკვნა

მოცემულმა სპეციალურმა ანგარიშმა ნათლად წარმოაჩინა პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკის პრობლემები, ასევე გამოავლინა კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები. დისციპლინური სამართალწარმოების ნაკლოვანებები არსებითად აზიანებს პატიმრების უფლებრივ მდგომარეობას, რაც პატიმრებსა და ადმინისტრაციას შორის დაძაბულობისა თუ კონფლიქტის წარმოშობის წყაროა. სამართლებრივი დაცვის გარანტიების არარსებობის პირობებში, პატიმრები კარგავენ კანონიერი უფლებების რეალიზების შესაძლებლობას.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ამ მიმართულებით სახელმწიფომ დროულად უნდა გადადგას ეფექტიანი ნაბიჯები და იზრუნოს როგორც კანონმდებლობის დასახვეწად, ისე პრაქტიკის გასაუმჯობესებლად. ამასთან, ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარე სპეციალური ანგარიში კარგი საორიენტაციო და სახელმძღვანელო დოკუმენტი იქნება შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურებისთვის, და პატიმრების ლეგიტიმური ინტერესის დაცვის გზაზე სახელმწიფოს დასახული მიზნის მიღწევაში დაეხმარება.

დასკვნის სახით წარმოგიდგენთ იმ პრაქტიკული პრობლემების შესახებ შეჯამებულ ინფორმაციას, რომლის გამოსწორების რესურსი გააჩნიათ უშუალოდ პენიტენციურ დაწესებულებებს ანგარიშის გამოქვეყნებისთანავე და არ საჭიროებს დამატებით საკანონმდებლო ცვლილებებს:

- მოიპოვონ რელევანტური ნეიტრალური მტკიცებულებები:
    - მოიპოვონ ვიდეოჩანაწერები
    - ვიდეოჩანაწერების მოპოვების ტექნიკური შეუძლებლობის შემთხვევაში, გამოკითხონ ელექტრონულ/ვიზუალურ მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები
    - გამოკითხონ ფაქტის მოწმე ყველა პირი, როგორც დაწესებულების თანამშრომლები, ისე სხვა პატიმრები
    - მოიპოვონ ნივთიერი მტკიცებულებები
    - დაწესებულებამ მტკიცებულებების შესაგროვებლად გამოიყენოს ფოტო, ვიდეო და აუდიო მასალა/ტექნიკა

[83] პატიმრობის კოდექსი, მუხ. 88, ნაწ. 6.

- ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვების შეუძლებლობის შემთხვევაში, საქმისწარმოების მასალებში ჩაიდოს ობიექტური მიზეზების შესახებ ინფორმაცია/დოკუმენტაცია
- განკარგულებებში აღიწეროს დისციპლინური გადაცდომის ფაქტობრივი გარემოებები
- გამოიკვლიონ და განკარგულებებში წარმოადგინონ ინფორმაცია იმ სავარაუდო გამომწვევი მიზეზების შესახებ, რამაც პატიმრის ქცევა გამოიწვია
- განკარგულებებში დასაბუთდეს კონკრეტული სანქციის გამოყენების პროპორციულობა
- დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენებისას გაითვალისწინონ პატიმრის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები
- სანქციის შეფარდებისას პატიმრების მიმართ გამოიყენონ ერთგვაროვანი მიდგომა
- ყველა ისეთ შემთხვევაში, სადაც არ არის წარმოდგენილი ნეიტრალური მტკიცებულებები, ჩატარდეს ზეპირი მოსმენა და პატიმარს მიეცეს საკუთარი ინტერესების დაცვის შესაძლებლობა
- პატიმრებს მიეცეთ წერილობითი ახსნა-განმარტების წარდგენის შესაძლებლობა ყველა შემთხვევაში
- პატიმრებს, მათი პოზიციის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოსადგენად, გონივრული დრო მიეცეთ
- საქმისწარმოების მასალებში ჩაიდოს პატიმრის ინდივიდუალური მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, პატიმრის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია
- პატიმრებს მიეცეთ ადვოკატების მოწვევის შესაძლებლობა და განესაზღვროთ გონივრული დრო
- დისციპლინური ბრალდების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია პატიმარს ეცნობოს უფლებამოსილი პირის მიერ საკითხის გადაწყვეტამდე
- დისციპლინური განკარგულება ყველა შემთხვევაში ჩაბარდეს პატიმარს

ასევე, წარმოგიდგენთ საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ რეკომენდაციებს, რომელთაგან ნაწილი საჭიროებს მხოლოდ სამართლებრივი პროცედურების დამატებით დახვეწას, ხოლო ნაწილი სრულიად ახალი რეგულაციების შემუშავებას:

რეკომენდაციები

საქართველოს პარლამენტს:

- **განისაზღვროს მცირე მნიშვნელობის დარღვევის გამო პატიმრის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შესაძლებლობა**
- **შემუშავდეს პატიმრის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების მიზნით მედიაციის მექანიზმი**

- განისაზღვროს პატიმრის ქცევის შეფასებისას მისი განზრახვისა თუ გაუფრთხილებლობის შემოწმების საჭიროება
- განისაზღვროს დისციპლინური ბრალდების მტკიცების სტანდარტი
- განისაზღვროს დისციპლინური მოკვლევის ეტაპები და საქმისწარმოების ვადები
- განისაზღვროს მინიმალური ვადა - არანაკლებ 24 საათისა - სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტსა და დისციპლინურ განხილვას შორის
- განისაზღვროს დისციპლინური ბრალდების შესახებ შეტყობინების ვალდებულება, მათ შორის, იმ მტკიცებულებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, რომლებიც ამ ბრალდებას ადასტურებენ
- განისაზღვროს დისციპლინური სამართალწარმოების მონაწილე პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომლების უფლება-მოვალეობები
- განისაზღვროს პატიმრის ეფექტიანი დაცვის, კერძოდ, მტკიცებულებების მოპოვების (მათ შორის, ვიდეოჩანაწერების) უზრუნველყოფის საშუალებები
- შევიდეს ცვლილება დისციპლინური სამართალწარმოების ზეპირი წესით ჩატარების რეგულაციაში (პატიმრობის კოდექსის მე-80 მუხლის 1-ლი ნაწილი) და მიეთითოს, რომ დისციპლინური სამართალწარმოება ზეპირად უნდა ჩატარდეს იმ შემთხვევაში, თუ დირექტორის წინაშე არ არის წარმოდგენილი პატიმრის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დამადასტურებელი ნეიტრალური მტკიცებულებები. ასევე, განსაზღვროს მაღალი სიმძიმის დარღვევების ან/და სამარტოო საკნის გამოყენების ალბათობის არსებობის შემთხვევაში საქმის ზეპირი განხილვის ვალდებულება
- განისაზღვროს პატიმრის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტილების კოლექტიურად მიღების წესი
- განისაზღვროს დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის განმხილველი პირების აცილების/თვითაცილების წესი
- განისაზღვროს დისციპლინური განკარგულების დასაბუთების სტანდარტი
- განისაზღვროს დისციპლინური პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები
- განისაზღვროს დისციპლინური დარღვევის ხარისხისა და პროპორციული სანქციების გამოყენების სტრუქტურული სქემა, მათ შორის, გაიწეროს კონკრეტული სანქციის გამოყენების ხანგრძლივობა
- კონკრეტულად და ამომწურავად განისაზღვროს დარღვევების ის სახეები, რომელთა დისციპლინურ სახდელად გათვალისწინებული იქნება სამარტოო საკანში მოთავსება
- შეიცვალოს პატიმრობის კოდექსის 88-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვითაც სამარტოო საკანში მოთავსებულ პატიმარს ავტომატურად ეკრძალება ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნები, სატელეფონო საუბარი, კვების პროდუქტების შეძენა, აგრეთვე, სასწავლო პროცესში მონაწილეობის უფლება
- ოჯახთან კავშირის აკრძალვის, როგორც დისციპლინური სახდელის გამოყენების წინაპირობად დადგინდეს მხოლოდ ისეთი გადაცდომა, როგორიც ამ ტიპის კონტაქტებს უკავშირდება

- განისაზღვროს დისციპლინური სახდელის გამოყენების ალტერნატიული ღონისძიებები
- განისაზღვროს სასამართლოს ვალდებულება გაათავისუფლოს პატიმარი ბაჟის გადახდის ვალდებულებისგან, თუ პატიმარი წარმოადგენს საბანკო ამონაწერს პენიტენციურ სისტემაში ყოფნის პერიოდში მისი ფინანსური ბრუნვის შესახებ, რაც დაადასტურებს იმ ფაქტს, რომ ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში მისი ყოველთვიური შემოსავალი 100 ლარზე ნაკლები იყო

იუსტიციის მინისტრს:

- დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულების ფორმაში შეიტანოს სავალდებულოდ შესავსები პუნქტი, სადაც ჩაიწერება, პატიმარმა ჩაიბარა თუ არა დოკუმენტი
- შემუშავდეს დისციპლინური ბრალდების შესახებ ოქმის ფორმა, რომელშიც შესატანი იქნება ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ ვინ და რა ფაქტის გამო, და რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით იწყებს დისციპლინურ სამართალწარმოებას კონკრეტული პატიმრის მიმართ
- დანერგოს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზედამხედველობის შიდა მექანიზმი სამართალწარმოების ყოველდღიური მონიტორინგის, ანალიზის და რეკომენდაციების შესამუშავებლად.